ბიუჯეტიდან 232 ათასი ლარი მოიპარეს A4

სადამზე ფულადი ჯილდო გამოაცხადეს A5

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 5 ივლისი, 2003 წელი. №182 (394)

ფასი 30 თეთრი

## „შევარდნაძე არაფატის მდგომარეობაში იმყოფება...“

დღეს ერთდღიანი ვიზიტით თბილისში ჩამოდის აშშ-ს პრეზიდენტის სპეციალური დესპანი, ედუარდ შევარდნაძის მეგობარი ჯეიმს ბეიკერი

ვიზიტის ოფიციალური პროგრამის თანახმად, ჯეიმს ბეიკერი, საქართველოს პრეზიდენტთან ერთად, ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების წინსვლის, ასევე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში აშშ-სა და საქართველოს თანამშრომლობის პერსპექტივებს განიხილავს.

აშშ-ს საელჩოს ინფორმაციით, საქართველოში ჯეიმს ბეიკერის ვიზიტი **"გამოხატავს აშშ-ს მზადყოფნას ითანამშრომლოს საქართველოს მოქალაქეებთან, რომლებიც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების, სტაბილურობისა და ეკონომიკური კეთილდღეობისთვის ილვწიან რეფორმების ხელშეწყობისა და კორუფციასთან ბრძოლის გზით"**.

ოფიციალური თბილისი ამ ვიზიტს "დიდი აღფრთოვანებით" ხვდება და იმედს გამოთქვამს, რომ **"ეს ვიზიტი მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცება-გამყარებას"**.

თუმცა ბეიკერის ვიზიტის დრომ და იმ ფაქტმა, რომ შევარდნაძის მეგობარი ქართული პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებსაც შეხვდება, თავიდანვე გააჩინა მოლოდინი, რომ ბეიკერი შევარდნაძისთვის "გაფრთხილებების" ჩამოსატანად ჩამოდის. ამის შესახებ კომენტარი გუშინწინ - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ხოლო ხუთშაბათს პოლიტიკოსთა ნაწილმა გააკეთა.

გუშინ საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნულ ვიზიტთან დაკავშირებით ისევ ავრცელებდნენ ქართველი პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგების კომენტარებს:

„საქართველოს ლებორისტული (შრომის) პარტიის" ლიდერის შალვა ნათელაშვილის აზრით, აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი და პრეზიდენტ შევარდნაძის მეგობარი ბეიკერი საქართველოში წინასაარჩევნოდ შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესწავლის მიზნით ჩამოდის.

გაგრძელება A3 გვერდზე

### სპორტი

## დიდი მარყუჟი საუკუნის ხნისაა

ათობით სპორტის სახეობა არსებობს, ათასობით შეჯიბრება. ამას ორი ან სამი თუ შეედრება – ოლიმპიური თამაშები, მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში და უიმბლდონი. ყველა დანარჩენი ტყუილია ტურ დე ფრანსთან.

A6

### რევიუ

## Moscow Beat-ის მეორე ნაწილი „აჭარა მიუზიკ ჰოლში"

"აჭარა მიუზიკ ჰოლი" აგრძელებს უცხოელი დი-ჯეების წარმოდგენას. 14 ივნისს კლუბში დაიწყო მოსკოველი დი-ჯეების ფესტივალი Moscow Beat. დღეიდან ამ ფესტივალის მეორე ნაწილი იწყება და ის იმითაა საინტერესო, რომ ამჯერად დი-ჯეის მიქშერთან გოგონებს წარმოგვიდგენს.

A7

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 27 |
| ბათუმი | 26 |
| სოხუმი | 27 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1500 |
| ევრო | 2.4891 |
| გირვანქა სტერლ | 3.5750 |
| რუბლი | 0.0708 |

# სტუმარი შევარდნაძის სახელგანთქმული წარსულიდან

**ბეიკერის ვიზიტის შედეგები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამერიკის პოლიტიკას საქართველოს მიმართ**

ეკა კვესიტაძე
ვაშინგტონიდან

დღეს თბილისში ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი ჩამოდის - სტუმარი შევარდნაძის სახელგანთქმული წარსულიდან.

უკვე ორშაბათს, ტრადიციულ რადიოინტერვიუში პრეზიდენტი, ალბათ, დიდხანს ისაუბრებს თავის დიდ მეგობარ ბეიკერზე, ბერლინის დანგრეულ კედელზე და საკუთარ წვლილზე მსოფლიოს კომუნიზმის შიშისაგან გათავისუფლებაში.

თუმცა, ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივანი თბილისში მხოლოდ შევარდნაძის სახელოვან წარსულზე სასაუბროდ არ ჩამოდის. ვაშინგტონის წარმომადგენლობითი დელაგაციის მიზანი, რომლის შემადგენლობაში, ბეიკერის გარდა, სახელმწიფო მდივნის მოადგილე ელიზაბეტ ჯონსი და უშიშროების საბჭოს მდივნის თანაშემწე მეტ ბრაიზაც შედიან, უფრო მეტია, ვიდრე საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო მინისტრისთვის საკუთარი პატივისცემის კიდევ ერთხელ დადასტურება.

ბეიკერის ვიზიტის მიზეზი, პირველ რიგში, არჩევნებია, რომლის დემოკრატიულად ჩატარებას უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებენ ვაშინგტონში და რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს ამერიკის პოლიტიკას საქართველოს მიმართ.

გაგრძელება A3 გვერდზე


REUTERS

ჯეიმს ბეიკერი მნიშვნელოვანი მისიით ჩამოვიდა.

## „ქართველებმა უნდა შეძლონ პოლიტიკური პროცესების დალაგება"

შოთა უტიაშვილი

*ინტერვიუ "რენდ კორპორეიშენის" უფროს მრჩეველთან და აშშ-ს ყოფილ ელჩთან ნატო-ში რობერტ ჰანტერთან*

**- ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ ერთი წელი გავიდა. რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში ამერიკის საგარეო პოლიტიკაში და ამერიკა-საქართველოს ურთიერთობებში?**

- ამერიკის საგარეო პოლიტიკაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ტერორიზმისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლამ, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ინტერესი ამ რეგიონისადმი.

ერაყის ომის შემდეგ ამერიკამ ხანგრძლივი დროით აიღო პასუხისმგებლობა ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე. ეს გულისხმობს ერაყის რეკონსტრუქციას, რეგიონული უსაფრთხოების სისტემის მშენებლობას, მასში ირანის მონაწილეობის საკითხის განსაზღვრას და ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოგვარებაში პოზიტიური როლის შესრულებას. კონფლიქტის მოგვარებაში პრეზიდენტი ბუში პირადადაა ჩართული

ამდენად, აშშ-ის ყურადღების ფოკუსში დიდი ხანი იქნება ახლო აღმოსავლეთი. ეს თავისთავად ნიშნავს მზარდ ინტერესს კავკასიისა და ცენტრალური აზიის მიმართაც. რა თქმა უნდა, აშშ-ის მიდგომა ამ რეგიონისადმი დიდად არ შეიცვლება. აშშ კვლავინდებურად განსაკუთრებით იქნება დაინტერესებული საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებითა და შიდაპოლიტიკური განვითარებით

**- არაერთი ექსპერტი ამტკიცებს, რომ მას შემდეგ, რაც ახლო აღმოსავლეთი (და ერაყის ნავთობი) აშშ-ის ყურადღების ცენტრში მოექცა, მისი ინტერესი კავკასიის მიმართ, პირიქით, უნდა შემცირდეს.**

- ერაყული ნავთობის შესაძლო გამოჩენა მსოფლიო ბაზარზე, ვფიქრობ, მნიშვნელოვნად არ შეცვლის ბაზრის კონიუნქტურას. კვლავინდებურად არსებობს ოპეკი, რომელიც ამ ბაზარზე დიდ გავლენას ახდენს. გარდა ამისა, აშშ კვლავინდებურად დაინტერესებულია სპარსეთის ყურის გარეთ მდებარე ნავთობით. ამ მხრივ მისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ცენტრალური აზია და კავკასია, როგორც მისი სატრანზიტო გზა.

ახლო აღმოსავლეთი ამიერიდან დიდ ხანს იქნება ამერიკის ყურადღების ცეტრში, რაც ბუნებრივია, ზოგიერთი სხვა რეგიონის მიმართ ყურადღების შემცირებას გამოიწვევს, მაგრამ ვფიქრობ, საქართველოს ეს არ შეეხება.

საქართველოს სტაბილურობა მნიშვნელოვანია რეგიონის სტაბილურობისათვის. ამავე დროს, კავკასია, ცენტრალური აზია და სამხრეთ რუსეთი განიხილება, როგორც ტერორიზმის პოტენციური წყარო, რომელიც მუდმივ ყურადღებას საჭიროებს. ამავე დროს, თუ საქართველოში რეფორმები წარმატებით განვითარდა, ეს კარგი მაგალითი იქნება ახლო აღმოსავლეთისთვისაც.

ასე რომ, ახლო აღმოსავლეთის მოქცევა ამერიკის ყურადღების ცენტრში, ვფიქრობ, არ გამოიწვევს საქართველოს მნიშვნელობის შემცირებას.

**- ამბობენ, რომ აშშ აპირებს დასავლეთ ევროპაში დისლოცირებული შეიარაღებული ძალები შავი ზღვისაკენ გადასწიოს. გაჩნდა ცნობები, რომ აშშ აზერბაიჯანშიც აპირებს სამხედრო ბაზის განთავსებას. რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია?**

გაგრძელება A3 გვერდზე

## რუსთავში უცნაური ამბები ხდება

*ერთმა პატარა ხვლიკმა მამალაძე-ტყეშელაშვილის ურთიერთობები კიდევ უფრო დაძაბა.*

მაია მოსიაშვილი

დაახლოებით 12 საათის განმავლობაში რუსთავს ბუნებრივი აირით მომარაგება შეწყვეტილი ჰქონდა. "რუსთავგაზის" დირექტორის დავით მჭედლიშვილის განმარტებით, 3 ივლისს ღამის თერთმეტ საათზე დაუდგენელმა პირებმა ქალაქში შემომავალი ძირითადი გაზსადენი მილი გადაკეტეს და დააზიანეს. მომხდარს მაშინვე დივერსიის კვალიფიკაცია მიენიჭა და ახლა საქმეს უშიშროების სამსახური იძიებს. მომხდარი, რა თქმა უნდა, მწვავე პოლიტიკური განცხადებების გაკეთების საფუძველი გახდა. რუსთავის მერის, მერაბ ტყეშელაშვილის ვერსიით, გაზზე დივერსია მისი პოლიტიკური ოპონენტებისორგანიზებულია და ერთ მიზანს ემსახურება - მერის რეპუტაციის შელახვას და მავანთა ხალხის მხსნელებად წარმოჩენას. ტყეშელაშვილმა კიდევ ერთხელ გაიხსენა ის საბედისწერო ხვლიკიც, რომელიც ერთ-ერთმა რუსთაველმა დილაადრიან საკუთარ აბაზანაში, ონკანში ნახევრადგაჭედილი ნახა, მისმა მეზობლებმა მომხდარი სმკ-ს ოფისს, ამ უკანასკნელებმა კი ჟურნალისტებს შეატყობინეს. რუსთავში დღესაც ყველაზე პოპულარულ სალაპარაკო თემად ხვლიკი და იმის დადგენა გახლავთ, გარედან ცდილობდა ხვლიკი ონკანში შეძვრომას, თუ პირიქით.

გაგრძელება A2 გვერდზე

## კრემლისა და ოლიგარქების „თაფლობის თვე" დასრულდა

რევაზ ბახტაძე

4 ივლისს რუსეთის გენპროკურატურამ ჩვენების მისაღებად ნავთობმაგნატი, კომპანია "იუკოსის" თავმჯდომარე მიხეილ ხოდორკოვსკი გამოიძახა. ხოდორკოვსკის გამოძახება კომპანიის მეორე უმსხვილესი აქციონერის დაკავებას მოჰყვა.

გაგრძელება A5 გვერდზე

## აკაკი ასათიანი "ფონს" ეძებს

*2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებს სამი "ფონი" აქვს: პოლიტიკურმა პარტიამ ან დამოუკიდებლად უნდა გააღწიოს "მეორე ნაპირზე", ან - ამ სახელისუფლებო ბლოკთან ერთად, ან - ოპოზიციური გაერთიანების მეშვეობით (თუ ასეთი ალიანსი საერთოდ შედგება). აკაკი ასათიანი და მისი "ტრადიციონალისტთა კავშირი" საარჩევნო "მდინარის" პირას დგანან და ვერ გადაუწყვეტიათ, რომელი ვარიანტი აირჩიონ.*

გიორგი ასანიშვილი

თითოეულ მათგანს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს: დამოუკიდებლად "ცურვა", იცოცხლეთ, მშვენიერი რამ არის, მაგრამ ტრადიციონალისტთა ლიდერს კარგად ესმის, რომ 7-პროცენტიანი ბარიერის ეულად გადალახვის რესურსი მის პარტიას, პრაქტიკულად, არ გააჩნია და ამდენად, "ჩაძირვის" ალბათობა ძალიან დიდია.

რაც შეეხება ოპოზიციურ "ფონს", მის მახლობლად აკაკი ასათიანმა უკვე დიდი ხანია, დაიკავა რიგი. "ტრადიციონალისტები" ერთ-ერთი პირველები იყვნენ, რომლებიც ჯერ კიდევ იანვარში "ნაციონალებთან" ერთად ლამობდნენ ოპოზიციური ბლოკის შექმნას, მაგრამ მაშინ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა: "ნაციონალები" "ტრადიციონალისტებს" (საკუთარ თავთან შედარებით) უფრო "მსუბუქ კატეგორიად" მიიჩნევდნენ და პარტიულ სიებში მათთვის ბევრ ადგილს ვერ იმეტებდნენ. თავის მხრივ, პარტიული თავმოყვარეობა აკაკი ასათიანს საშუალებას არ აძლევდა, "დისკრიმინაციულ" კვოტაზე დათანხმებულიყო და ამიტომ გარიგება ვერ შედგა. თუმცა, კულუარული ინფორმაციით, სააკაშვილ-ასათიანის "უნიის" იდეა ისევ ცოცხლობს და გამორიცხული არ არის, "ტრადიციონალისტებისა" და "ნაციონალების" გზები მაინც გადაიკვეთოს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## იური შჩეკოჩიხინი: „ყველაზე მეტად ვწუხვარ, რომ ვლად ლისტევის მკვლელობა ვერ გავხსენი"

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

ასე უთხრა ჟურნალისტებს თავის ერთ-ერთ უკანასკნელ პრესკონფერენციაზე რუსეთის დუმის დეპუტატმა, მწერალმა და ჟურნალისტმა იური შჩეკოჩიხინმა.

მოსკოველმა ჟურნალისტებმა კარგად იციან, რა ცეცხლსაც ეთამაშებოდა იურა - ადამიანთა გატაცება, ჩეჩნეთში სპცსამსახურების სისასტიკე და ადამიანთა გაქრობა, მონებით ვაჭრობა და კორუფცია მაღალ სამხედრო ეშელონებში... მისი ძიებების ობიექტი, მისი ბოლო საქმე რუსეთის სამართალადამცავ ორგანოებში მიმდინარე "წმენდებს" ეხებოდა. შექეიფიანებული შჩეკოჩიხინი ბევრს ხითხითებდა "ობოროტნების" საქმეზე.

დეპუტატის კოლეგები ამბობენ, რომ მის პორტფელში ინახებოდა სამართალდამცავი ორგანოების სტრუქტურებში კორუფციისა და აღებ-მიცემობის შემაძრწუნებელი ფაქტების ამსახველი დოკუმენტები. ახლა ისინი გაქრა. გაურკვეველ ვითარებაში

გაგრძელება A5 გვერდზე

## სავალუტო ფონდი ბიუჯეტის 135 მილიონი ლარით შეკვეცას ითხოვს

სოფო კვინტრაძე

*გუშინ საქართველოს მთავრობამ სავალუტო ფონდის მისიასთან ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მოლაპარაკებები გამართა. კანცელარიაში ეროვნულმა ბანკმა ფორმა 412 წარმოადგინა, რომლის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტი 2003 წლის პირველ ექვს თვეში 84 პროცენტითაა შესრულებული. გარღვევა, თითქმის, 90 მილიონ ლარს შეადგენს. სავალუტო ფონდი ფინანსთა სამინისტროსაგან ბიუჯეტის 135 მილიონი ლარით კორექტირებას მოითხოვს.*

გუშინ, სავალუტო ფონდის მისიის მოთხოვნით, მთავრობის ეკონომიკური გუნდი ჯერ სახელმწიფო მინისტრის მოადგილესთან

გაგრძელება A2 გვერდზე


ლევან ხერხეულიძის ფოტო

ორშაბათისთვის სავალუტო ფონდის მემორანდუმი მზად იქნება.



იური შჩეკოჩიხინი საქართველოსა და ქართველებს თანაუგრძნობდა.

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 უცხოეთი A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

## მოკლედ

### თბილისში ეუთო-ს გენერალური მდივანი და ევროკავშირის "სამეული" ჩამოდის

უახლოეს პერიოდში საქართველოში რამდენიმე მნიშვნელოვანი ვიზიტია დაგეგმილი. ჯეიმს ბეიკერის ჩამოსვლაზე რომ არაფერი ვთქვათ, 6 ივლისს ოთხდღიანი ოფიციალური ვიზიტით საქართველოს ეწვევა ეუთო-ს გენერალური მდივანი, ელჩი იან კუბიში თამნხლებ პირებთან ერთად. ვიზიტის მიზანია საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის მონიტორინგთან დაკავშირებული საკითხების ადგილზე გაცნობა.

იან კუბიში ქვეყნის ოფიციალურ პირებთან შეხვედრისას ქვეყანაში არსებული კონფლიქტების მოწესრიგების თვალსაზრისით შექმნილ მდგომარეობასაც გაეცნობა. იგეგმება გამგზავრება ცხინვალის რეგიონსა და ეუთო-ს საზღვრის მონიტორინგის ჯგუფის ბაზაზე. ელჩი შეხვდება პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს, საგარეო საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილს, განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს მალხაზ კაკაბაძეს, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ვალერი ჩხეიძესა და პრეზიდენტის მრჩეველს კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში ირაკლი მაჭავარიანს.

8 ივლისს კი საქართველოს ევროკავშირის "სამეულის" წარმომადგენლები ეწვევიან.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ვიზიტის ფარგლებში ფაქტობრივად გადაწყდება საქართველოში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის საკითხი.

საგარეო უწყებაში იმედოვნებენ, რომ ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობას კიდევ უფრო მჭიდროსა და ნაყოფიერს გახდის.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ვიზიტი 11 მარტისთვის იყო დანიშნული, თუმცა იგი ერაყის ომის გამო გადაიდო.

*24 საათი*

### აღდგება რუსეთ-საქართველოს შორის 1999 წელს შეწყვეტილი კონსულტაციები

საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის 1999 წელს შეწყვეტილი კონსულტაციები ივლისში განახლდება. ამის შესახებ პარასკევს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კახა სიხარულიძემ.

მისი თქმით, "ხანგრძლივი შესვენების შემდეგ" საქართველოსა და რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყებების წარმომადგენლებს შორის პირველი შეხვედრა გაიმართება მოსკოვში, 7-8 ივლისს.

მომავალი კონსულტაციების თემატიკა, კახა სიხარულიძის განმარტებით, საკმაოდ მრავალმხრივი იქნება, თუმცა თავდაპირველად განიხილება საქართველოსა და რუსეთს შორის ინფორმაციის სფეროში სამთავრობოთაშორისო თანამშრომლობის ხელშეკრულების პროექტი

რუსეთის სამუშაო ჯგუფს კონსულტაციებზე საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ლოშჩინინი უხელმძღვანელებს, ხოლო ქართულს - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე.

*24 საათი*

### სუუამ-ს ისევ რთული პერიოდი უდგას

დასავლეთში დსთ-ს ალტერნატივად მოაზრებულ სუუამ-ს ისევ რთული პერიოდი უდგას. იალტის სამიტზე მოლდოვასა და უზბეკეთის მიერ საკმაოდ დაბალი რანგის ჩინოსნების გამოგზავნამ შექმნა შთაბეჭდილება, რომ რეგიონულ ორგანიზაციას, რომელიც აშშ-ს აშკარა ხელშეწყობის პირობებში არსებობს, ისევ სერიოზული პრობლემები აქვს.

სუუამ-ის სამიტზე, რომელიც გუშინ დასრულდა, არც ჰეიდარ ალიევი ჩასულა, როგორც ცნობილია, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. სამაგიეროდ, "სხვადასხვა მიზეზებით" უზბეკეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა პრეზიდენტის სახელმწიფო მრჩეველი საგარეო პოლიტიკურ საკითხებში აბდულაზიზ კამილოვი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფორუმზე მოლდოვას საქართველოსგან უნდა მიეღო გაერთიანების ხელმძღვანელის სტატუსი, მოლდოვას სამიტზე წარმოადგენდა საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ანდრეი სტრატანი. აღსანიშნავია, რომ იალტის სამიტზე ხელმძღვანელის სტატუსის გადაცემა აღარ შედგა.

მიუხედავად ამისა, გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან საუბრისას მაინც ისაუბრა სუუამ-ის დიდ მომავალსა და პერსპექტივაზე. სამიტის დასასრულს ხელი მოეწერა რამდენიმე შეთანხმებასაც:

პარასკევს სუუამ-ის წევრი ქვეყნების მეთაურთა დელეგაციების ხელმძღვანელებმა იალტაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას - ტერორიზმთან, ორგანიზებულ დანაშაულთან, ნარკოტიკების გავრცელებასა და დანაშაულთა სხვა საშიშ გამოვლინებებთან ბრძოლის შესახებ; ასევე - გაერთიანების ვირტუალური ცენტრისა და სუუამ-ის სახელმწიფოთაშორისო საინფორმაციო-ანალიტიკური სისტემების შექმნის შესახებ.

ასევე ხელმოწერილია მემორანდუმი სუუამ-ის წევრ-სახელმწიფოთა შორის ვაჭრობისა და სატრანსპორტო გადაზიდვების ხელშეწყობის ურთიერთგაგების შესახებ, გაფორმდა შეთანხმება სახელმწიფოთა შორის, რაც საგანგებო სიტუაციებსა და მათი შედეგების ლიკვიდაციის სფეროში თანამშრომლობას ეხება. დაიდო შეთანხმება სუუამ-ის სახელმწიფოთა განათლების სამინისტროების თანამშრომლობის შესახებ, სამთავრობოთაშორისო შეთანხმება საბაჟო საქმიანობაში ურთიერთდახმარების თაობაზე, ოქმი სუუამის სახელმწიფოების სასაზღვრო უწყებათა თანამშრომლობასთან დაკავშირებით, პროტოკოლი მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში გაერთიანების წევრ-სახელმწიფოთა მეცნიერებათა აკადემიების თანამშრომლობის შესახებ.

*24 საათი*

### ედუარდ კოკოითი - სამხრეთ ოსეთს განზრახული აქვს, რომ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შევიდეს

სამხრეთ ოსეთს განზრახული აქვს, რომ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შევიდეს. ამის შესახებ გუშინ ნალჩიკში გამართულ პრესკონფერენციაზე ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა განაცხადა.

**"მე, როგორც სახელმწიფო მეთაურმა, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს მივმართე თხოვნით სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შესახებ,"** - განაცხადა კოკოითმა.

მან აღნიშნა, რომ 1992 წელს გამართულ რეფერენდუმზე რეგიონის მოსახლეობამ რუსეთთან შეერთებას დაუჭირა მხარი. **"მიმართვა დოკუმენტებთან ერთად, რომელიც სამხრეთ ოსეთის ისტორიულ და პოლიტიკურ არჩევანს ასაბუთებს, უკვე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს გაეგზავნა,"** - აღნიშნა კოკოითმა.

მან ასევე განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთის მოქალაქეთა 56 პროცენტს რუსეთის მოქალაქეობა აქვს, მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი კი მის მიღებას ითხოვს.

ჟურნალისტის კითხვაზე - შეუძლია თუ არა აფხაზეთს, რუსეთის ასოცირებული წევრი გახდეს, ყაბარდო ბალყარეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ კოკოვმა განაცხადა, რომ ამ რესპუბლიკას **"არა მარტო შეუძლია, არამედ სურს კიდეც, გახდეს რუსეთის ასოცირებული, მომავალში კი სრულუფლებიანი წევრი".**

*ინტერ-პრესი*

### გაქცეულ პატიმართაგან ორი ხელახლა დააპატიმრეს

ბოლო ორი თვის განმავლობაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან 47 პატიმარი გაიქცა. მიუხედავად ქვეყნის მასშტაბით გატარებული სამძებრო ღონისძიებებისა, ციხიდან გაქცეული მსჯავრდებულებიდან დღემდე დაპატიმრებული იყო მხოლოდ ერთი პატიმარი. ქუთაისში პოლიციამ აყვანის დროს ჩაცხრილა ორი მსჯავრდებული, ერთი კი რამდენიმე დღის წინ მტკვარში დამხრჩვალი იპოვეს.

გუშინ სამართალდამცველებმა, 31 მაისს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №5 საპყრობილედან გაქცეული ორი პატიმარი ხელახლა დააპატიმრეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ძებნის სამსახურისა და აეროპორტის პოლიციის თანამშრომლებმა ერთობლივი ოპერაცია განახორციელეს და კიევში გაფრენამდე 40 წუთით ადრე დააკავეს მკვლელობაში ბრალდებული ზურაბ კანდელაკი. შს სამინისტროს ძებნის სამსახურის უფროსის გივი მღებრიშვილის განცხადებით, კანდელაკი საზღვარგარეთ ყალბი პასპორტით აპირებდა გასვლას. მას საბუთები ვინმე ნებიერიძის სახელზე ჰქონდა გაფორმებული. ვინაიდან კანდელაკმა დუმილის უფლება გამოიყენა, სამართალდამცველეთათვის ჯერჯერობით უცნობია, სად და როგორ მოახერხა ძებნილმა ყალბი საბუთების დამზადება.

გუშინ, ვიდრე შინაგან საქმეთა სამინისტროში კანდელაკის დაპატიმრების შესახებ დოკუმენტები ფორმდებოდა, ძებნის სამსახურმა ვაკეში, მრგვალი ბაღის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ ბინაში მეორე ძებნილი - ზვიად ჩხაიძე დააპატიმრა.

როგორც ჩანს, გაქცეულ პატიმართა ხელახალი დაპატიმრების პროცესი დაიწყო. იმედია, ორიოდე დღის წინ პატიმართა გაქცევებს გადაყოლებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის გიგლა აგულაშვილის შემდეგ პოლიციის მხრიდან გადადგმული ქმედითი ნაბიჯები უბრალო დამთხვევაა და არა ახალი თავმჯდომარის შოთა კოპაძისთვის გამოცხადებული სოლიდარობა – იგი ხომ პენიტენციალურ სისტემაში სწორედ პოლიციიდან მივიდა.

# აკაკი ასათიანი "ფონს" ეძებს

პირველი გვერდიდან



*აკაკი ასათიანმა ბოლო ოთხი დღის განმავლობაში ორი პრესკონფერენცია გამართა.*

გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს კიდევ ერთი "ფონი", საიდანაც 7-პროცენტიანი ბარიების გადალახვაა შესაძლებელი. ეს არის სახელისუფლებო ბლოკის წევრობა. მართალია, აკაკი ასათიანი ყოველთვის უარყოფდა მმართველ ძალასთან ალიანსში შესვლის ალბათობას, მაგრამ გაჭირვებამ, როგორც ჩანს, მას ეს გზაც მოასინჯვინა. ამას გვაფიქრებინებს "ტრადიციონალისტების" მიერ საკონსტიტუციო ცვლილებების მხურვალე მხარდაჭერა, რომელიც ოპოზიციურ წრეებში ერთობ არაპოპულარული იდეის - მაჟორიტარი დეპუტატებისთვის უფლებამოსილების გაგრძელებასაც გულისხმობდა. იმ შემთხვევაში, თუ აკაკი ასათიანი და მისი ფრაქცია ამ მძიმე "შტანგას" ასწევენ, მათ წინაშე მეტად საამური პერსპექტივა იშლება - გარანტირებული ფართო წარმომადგენლობა მომავალ პარლამენტში, პლუს - 85 მაჟორიტარი დეპუტატი, რომლებიც მათთან ვალში იქნებიან. ასეთი მაცდუნებელი მიზნიდან გამომდინარე, "ტარდიციონალისტები" ცდილობენ, ისარგებლონ პრეზიდენტსა და საპარლამენტო უმრავლესობას შორის ბოლო დროს წარმოქმნილი ბზარით და ამ უთანხმოებაზე ითამაშონ. თუმცა, როგორც არ უნდა გაიზარდოს უმრავლესობის უკმაყოფილება, ბზარი უფსკრულად მაინც ვერ იქცევა და, აქედან გამომდინარე, ამჟამინდელ პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების გატანა, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

ალბათ, ამიტომაც არის, რომ აკაკი ასათიანი მეორე "ფონთან" დაბრუნებას ამჯობინებს და ოპოზიციის საამებლად მთავრობასა და პრეზიდენტ შევარდნაძეს სულ უფრო ხმამაღლა და გამეტებით ლანძღავს.

**"პრეზიდენტმა ან უნდა გაუშვას მთავრობა, ან პირადად მისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. "ტრადიციონალისტების" ფრაქცია მზად ვართ შევარდნაძის იმპიჩმენტისთვის. დაიწყოს ეს პროცესი ნებისმიერმა პოლიტიკურმა ძალამ და ჩვენ მას უყოყმანოდ შევუერთდებით,"** - ბოლო ოთხი დღის განმავლობაში ორჯერ გამართულ პრესკონფერენციაზე ერთი და იმავეს იმეორებს ასათიანი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ორივე პრესკონფერენციის "დღის წესრიგში" ასევე შეტანილი იყო რიგგარეშე სესიის მოწვევის საკითხიც. სამშაბათს სესიის მოწვევის თაობაზე 71-მა პარლამენტარმა პრეზიდენტს წერილობით მიმართა, ხოლო უარის მიღების შემთხვევაში, 48 საათის შემდეგ, ისინი თავად გეგმავდნენ სესიის გამართვას. ამისათვის, მოქმედი კანონმდებლობით, 59 პარლამენტარის თანხმობა იყო საკმარისი, მაგრამ ბოლო მომენტში 14-მა დეპუტატმა თავისი ხელმოწერა უკან გაიტანა და რიგგარეშე სესიის მოწვევაც გაურკვეველი ვადით გადაიდო.

**"პრეზიდენტი ასე არ უნდა დაწვრილმანდეს და პარლამენტს პინგ-პონგი არ უნდა ეთამაშოს. მას სურს, სულ მუდამ მე-11 სართულზე იჯდეს და საბავშვო ბაღს ხელმძღვანელობდეს",** - შევარდნაძის კრიტიკაში გაწაფული ასათიანი ფიქრობს, რომ პრეზიდენტს სურს, პარლამენტის რიგგარეშე სესია თავად მოიწვიოს და თავადვე განსაზღვროს მისი დღის წესრიგი, რათა ამით თავიდან აიცილოს ყოველგვარი "გაუგებრობა".

# რუსთავში უცნაური ამბები ხდება

პირველი გვერდიდან

რუსთავის მერის მტკიცებით, მავანთ აღიზიანებთ მისი აპოლიტიკურობა და ამიტომ მისი საქმიანობის კომპრომენტაციას ცდილობენ. "ყველაფერი იმ ადამიანისა თუ ადამიანების მოწყობილია, რომლებიც იმავე შენობაში სხედან, სადაც ქალაქის მერიაა განლაგებული," - სავარაუდოდ, სამხარეო ადმინისტრაციაზე მიანიშნებს ტყეშელაშვილი.

საპასუხო კომენტარს აკეთებს "ექვმიტანილი" გუბერნატორი მამალაძეც. წყლის ონკანში ქვეწარმავალი, მოულოდნელად შეწყვეტილი გაზი მამალაძეს "ჟვანიას გეგმის" შემადგენელ ნაწილად მიაჩნია. "ჟვანიამ ვერ მოახერხა რუსული გეგმის განხორციელება დედაქალაქში და ახლა არეულობის მოწყობას რეგიონებში გეგმავს. რუსთავის მერიას ჟვანია მართავს," - ასეთ ხმამაღალ პოლიტიკურ განცხადებას აკეთებს მამალაძე.

"24 საათი" რამდენიმე ათეულ რუსთაველს გაესაუბრა. მათი უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ მოსახლეობის თავს დატეხილი ყველა უბედურება სხვადასხვა პიროვნებების პოლიტიკურ ამბიციებს უკავშირდება. "დაგვანებონ თავი, მარტო არჩევნებზე წასვლის კი არა, ამ ქალაქში გაჩერების სურვილსაც გვიკარგავენ"; "მე მაგათი არაფერი მჯერა, თუ წუხელ დივერსია მოხდა, რამდენიმე საათით ადრე ჩემს ეზოში კაცებმა საიდან იცოდნენ, ხვალ გაზი არ გვექნებაო?!"; "ხვლიკებითა და დინოზავრებით ერთმანეთი დააშინონ, ხალხს რას გვერჩიან?..."

რუსთავში გაზმომარაგება გუშინ, დღის პირველ ნახევარშივე აღდგა. უშიშროებამ დღის ბოლომდე დანაშაულის ჩამდენი ვერ მიაგნო. დღეს კი რუსთაველებს ახალი პოლიტიკური აქცია ელოდება - "პური-მიტინგი" სარკინიგზო ლიანდაგებზე. რუსთაველ "ნაციონალთა" ლიდერის გია ხევიაშვილის განცხადებით, ეს იქნება გამაფრთხილებელი სიმბოლური აქცია, სადაც ისინი მოსახლეობის სახელით პურის ფასის შემცირებას მოითხოვენ. "ჩვენი მიზანი არ არის იქ ათასობით კაცის თავმოყრა. ლიანდაგის გადაკეტვას ბევრი ადამიანი არ სჭირდება, მაგრამ თუ პურზე ფასები არ დაიწევს, ათიათასობით კაცს სახელმწიფო კანცელარიასთან მივიყვანთ," - განუცხადა "24 საათს" ხევიაშვილმა.

# კონსერვატორები „მომავლის დედაქალაქს„ გვთავაზობენ

ვერიკო თევზაძე

*თბილისის საკრებულოს ფრაქცია "გაერთიანებული კონსერვატორები" ახალი ინიციატივით გამოდიან. მათ გუშინ პრესას ახალი პროექტი - "მომავლის დედაქალაქი" გააცნეს.*

**"დასაბამი უნდა მიეცეს სახელმწიფო მშენებლობის ახალ ეტაპს – მართვის დემოკრატიული სტრუქტურები უნდა დამკვიდრდეს არა მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებაში, არამედ ადგილობრივ მმართველობაშიც",** - ასეთია "გაერთიანებული კონსერვატორების" პოზიცია. მათი აზრით, დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს არ გააჩნიათ სამართლებრივი ბერკეტები, რათა დედაქალაქი სრულფასოვნად მართონ. **"მოქმედი კანონმდებლობით, დადგენილია ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების დამოუკიდებლობა. ამ ფონზე კანონმდებლობა არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდეს სამთავრობო დაწესებულებების ტერიტორიული ორგანოები. აქედან გამომდინარე, 2004 წლის ბიუჯეტების ფორმირებამდე უნდა შეიცვალოს ე.წ. ორმაგი დაქვემდებარების სამსახურების სამართლებრივი სტატუსი და გადაწყდეს მათი შემდგომი დაფინანსების საკითხი."**

"გაერთიანებული კონსერვატორების" პროექტის თანახმად, ქალაქის მერს და საკრებულოს თავმჯდომარეს მოსახლეობა ირჩევს. საკრებულოს არჩევნები მხოლოდ მაჟორიტარული წესით ჩატარდება. პრემიერს არჩეული მერი საკრებულოს წარუდგენს დასამტკიცებლად, თბილისი დაიყოფა მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებად. მათ ვიცე-პრემიერები უხელმძღვანელებენ. რაიონული გამგეობები გაუქმდება, მათ ნაცვლად მუნიციპალიტეტები შეიქმნება. თბილისში სულ 15 მუნიციპალიტეტი იქნება: რვა - მარცხენა სანაპიროზე, შვიდი – მარჯვენაზე. თითოეული მუნიციპალიტეტი სამ დეპუტატს აირჩევს - საკრებულო სულ 45 კაცით დაკომპლექტდება.

ახალი პროექტის მიხედვით, დედაქალაქში უნდა შეიქმნას განათლების, ანტიმონოპოლიური, ქონების მართვის, ვეტერინარიის, ტრანსპორტის, საფინანსო, საბაჟო, საგადასახადო, ლეგიონის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურები. ასევე ჩამოყალიბდება მუნიციპალური პოლიცია.

პროექტის გასაცნობად მისი ავტორები პრეზიდენტთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან აპირებენ შეხვედრას. გუშინდელ პრესკონფერენციაზე ფრაქცია "გაერთიანებული კონსერვატორების" წარმომადგენლებმა გიორგი ტაბიძემ, დავით იოსელიანმა და გიორგი მურღულიამ განაცხადეს, რომ ისინი მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ და ბოლომდე თბილისის საკრებულოში დარჩებიან.

# სავალუტო ფონდი ბიუჯეტის 135 მილიონი ლარით შეკვეცას ითხოვს

პირველი გვერდიდან

გიორგი ისაკაძესთან შეიკრიბა, მოგვიანებით კი სახელმწიფო მინისტრთან ავთანდილ ჯორბენაძესთან გადაინაცვლა. შეხვედრის მონაწილეები აცხადებენ, რომ ეს მოლაპარაკებები ერთ-ერთი ყველაზე რთული იყო სავალუტო ფონდისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში. გუშინდელ შეხვედრებზე, ეროვნული ბანკის ფორმა 412-ისა და ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მონაცემების მიხედვით, კიდევ ერთხელ დააზუსტეს სახელმწიფო ბიუჯეტისა და სავალუტო ფონდის პარამეტრების შესრულება. ფორმა 412-ის მიხედვით სავალუტო ფონდის პარამეტრებში გარღვევამ 10 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც უპრეცენდენტო შემთხვევაა. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას, ხაზინის მონაცემებით, ნაცვლად დაგეგმილი 529 მილიონი ლარისა, ექვს თვეში მობილიზებულია მხოლოდ 443 მილიონი ლარი, ანუ გეგმის 84 პროცენტი. საგადასახადო დეპარტამენტმა გეგმა შეასრულა, საბაჟოს კი ექვსი თვის შემოსავლებში 33 მილიონი ლარის გარღვევა აქვს. დანარჩენი გარღვევა მოდის არასაგადასახადო შემოსავლებზე, მიუღებელ გრანტებზე და აჭარიდან გადმოურიცხავ თანხებზე. სახელმწიფო მინისტრის გიორგი ისაკაძის განცხადებით, ფონდი მოითხოვს ბიუჯეტის კორექტირებას 100-დან 135 მილიონ ლარამდე. **"მთავარი პრობლემა არის ბიუჯეტის კორექტირება. ეს არარეალისტური ბიუჯეტი ამბიციური ხარჯებით ისე უნდა შეიკვეცოს, რომ მოხდეს მისი დაბალანსება,"** – აცხადებს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე. გიორგი ისაკაძის ინფორმაციით, საბოლოო რიცხვი დღეს ფინანსთა სამინისტროში გამართული შეხვედრების შემდეგ გახდება ცნობილი. ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი დაბეჯითებით აცხადებს, რომ ბიუჯეტის კორექტირება არ შეეხება დაცულ მუხლებს, მათ შორის პენსიებსა და ხელფასებს.

ორშაბათისათვის უკვე მზად იქნება სავალუტო ფონდის სამახსოვრო მემორანდუმი, რომელსაც მისია პრეზიდენტ შევარდნაძეს წარუდგენს. გიორგი ისაკაძის განცხადებით, გარდა იმისა, რომ სავალუტო ფონდი ბიუჯეტის შეკვეცას მოითხოვს, მათ სჭირდებათ გარანტიები მთავრობისაგან, რომ დარჩენილ ექვს თვეში ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შესრულდება. ამისათვის, სავალუტო ფონდი საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანას ითხოვს, თუმცა, კონკრეტულად რა შესწორებები იგეგმება, ჯერ დაზუსტებული არ არის.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარემ იასე ზაუტაშვილმა გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა, თუმცა, თავად ზაუტაშვილი ამ ინფორმაციას არ ადასტურებს. მისი თქმით, **"ჯერჯერობით ვარ პოსტზე, მაგრამ არავინ იცის, რა იქნება ხვალ და ზეგ".** ზაუტაშვილი მზადყოფნას გამოთქვამს, რომ ყველანაირი პასუხისმგებლობა აიღოს თავის თავზე, რადგან ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი არ შესრულდა. მან ისიც არ გამორიცხა, რომ სავალუტო ფონდის მისიის დასრულების შემდეგ, მთელი ეკონომიკური გუნდის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან წასვლის შესახებ ინფორმაციას უარყოფს გიორგი ისაკაძეც. მისი განცხადებით, არანაირ საკადრო ცვლილებებზე ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებაში ამ ეტაპზე საუბარი არ მიდის.

## ორი სიტყვით

**ლაგოდეხი.** "გაერთიანებული დემოკრატების" ორგანიზაციას ლაგოდეხში საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ბუაძე ჩაუდგება. ამის თაობაზე გადაწყვეტილება პარტიის წევრებმა ლაგოდეხის რეგიონული ორგანიზაციის დამფუძნებელ კონფერენციაზე მიიღეს. კონფერენცია კინოთეატრის შენობაში საკმაოდ მოკრძალებულად ჩატარდა. მოლოდინის მიუხედავად (რომ ამ შეკრებაზე პარტიის ხელმძღვანელობის მხრიდან ხმამაღალი პოლიტიკური განცხადებები გაკეთდებოდა), ლაგოდეხელებს მხოლოდ პარტიის გენერალური მდივნის გამოსვლით მოუხდათ დაკმაყოფილება. ედვარდ სურმანიძე აქ დედაქალაქიდან ჩასული ერთადერთი "დემოკრატი" აღმოჩნდა. ამის შემდეგ თუ რომელი რაიონი გახდება კონკრეტულად ჟვანიას გუნდის სამიზნე, ჯერჯერობით უცნობია. როგორც პარტიის წევრები აცხადებენ, "დემოკრატების" სამხარეო და საქალაქო კონფერენციები უახლოეს მომავალში აჭარაშიც იგეგმება.

■ ■ ■

**თბილისი.** გენერალური პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო "მოძრაობა - დემოკრატიულ ფრონტს" აფრთხილებს, რომ საპროტესტო აქციის ჩატარების შემთხვევაში, რომელსაც ბლოკი შაბათს გეგმავს, სამართალდამცავი ორგანოების მიერ გატარდება კანონშესაბამისი ზომები და დადგება დამნაშავე პირთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ბათუმი.** "აჭარა საქართველოს ერთადერთი რეგიონია, სადაც არც ერთ პოლიტიკურ პარტიაზე ზეწოლა და უფლებების შევიწროება ავტონომიის ხელმძღვანელობის მხრიდან არ ხორციელდება," - აცხადებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ასლან აბაშიძის პრესსამსახურის უფროსი თამაზ ბაკურიძე. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "აფხაზეთის განთავისუფლების პარტია" აფხაზეთიდან დევნილთა ყველა ძალის გაერთიანებას ეცდება, რისი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ახალი პოლიტიკური გაერთიანება 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "ქალთა დაცვის კავშირი" მაჟორიტარობის კანდიდატ ქალთა ფონდის შექმნის ინიციატივით გამოდის, რომლის მიზანიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დეპუტატობის პოტენციური კანდიდატი ქალების გამოვლენა და მათი შესაძლებლობის გაზრდის მექანიზმების შემუშავება იქნება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჟიული შარტავას სახელობის საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ "ფესვები" სახელისუფლებო ბლოკს "ახალი საქართველოსათვის" თანამშრომლობის შესახებ შეთავაზებაზე უარი განუცხადა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის თავმჯდომარე ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში გიორგი ბარამიძე ხვალ ოფიციალურ სამუშაო ვიზიტად ამერიკაში მიემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის სხდომის მუშაობაში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**პანკისი.** გუშინ ცნობილი გახდა პანკისის ხეობაში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილების ხელახალი რეგისტრაციის დაზუსტებული მონაცემები, რომლის მიხედვით, პანკისის ხეობაში მცხოვრები ლტოლვილი მამაკაცების რაოდენობა გასულ წელთან შედარებით, 270 კაცით შემცირდა, ქალებისა კი 111-ით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თეთრიწყაროში (ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის ფარგლებში) სამშენებლო ბანაკის მშენებლობა დაიწყო. პროექტის ოპერატორი კომპანია „ბი-პის" საქართველოს წარმომადგენლობიდან გვაცნობებენ, რომ იმ ადგილზე, სადაც „კემპი" აშენდება, უკვე ჩაიყარა საძირკველი და ჩაისხა ბეტონი. პარალელურად მიმდინარეობს საქაჩი სადგურის მშენებლობა. ბანაკის აშენებამდე მუშები დროებით სკოლაში ცხოვრობენ, რომელიც თავადვე გაარემონტეს. თეთრიწყაროში ასევე დაიწყო იმ სატრანსპორტო საშუალებების შეკეთება, რომელსაც მილსადენის მშენებლობის პროცესში გამოიყენებენ. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის აღდგენაში დახმარების სურვილი გამოთქვა. სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ აშშ-ში ვიზიტისას, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან გამართული შეხვედრების დროს, ქართული ვაზის უნიკალური ჯიშების შენარჩუნების პროექტი წარადგინა. ამ პროექტის ფარგლებში საქართველო ხუთი მილიონი დოლარის ოდენობის გრანტს მიიღებს. პროექტი ორ ეტაპად განხორციელდება: პირველ ეტაპზე მოხდება ვაზის უნიკალური და პერსპექტიული ჯიშების შერჩევა და მათი გაშენება; მეორე ეტაპზე შენარჩუნებულ ჯიშებს მათი რეალიზაციის მიზნით გაამრავლებენ. პროექტის განხორციელება წლეულს დაიწყება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, ზემო ალექსეევკის დასახლებაში, სამელიორაციო არხში 45-50 წლის მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. უცნობ მამაკაცს სხეულზე დაზიანებები არ აღენიშნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 2 ივლისს, ვაზისუბნის დასახლების ერთ-ერთ საბაღე ნაკვეთში, 49 წლის ოთარ ჯინჭარაძემ დანით მუცლის არეში დაზიანება მიიყენა, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. ოთარ ჯინჭარაძეს მუდმივი საცხოვრებელი არ გააჩნდა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ცოფით დაავადებული 59 წლის მამაკაცის მდგომარეობა უმძიმესია. მისი გადარჩენის შანსი ძალზე მცირეა. მანაწნალა ძაღლმა იგი 40 დღის წინათ გლდანულაში დაკბინა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ თბილისის მერიის შენობის წინ შეკრებილი მიწის ის მფლობელები, რომელთაც, საკრებულოს განკარგულებით, თბილისში აუქციონზე შეძენილი მიწები არ დაუკანონდათ, სიტუაციის უმოკლეს ვადაში გარკვევას ითხოვდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამსახურის გადაწყვეტილებით, თბილისელი მრავალშვილიანი ოჯახები ცხვარიჭამიაში უფასოდ დაისვენებენ. იქ განლაგებულ ორ საზაფხულო ბანაკში 1200 ოჯახი დაისვენებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 417 საგანმანათლებლო ობიექტიდან 208-ის გადაუდებელ სარემონტო სამუშაოებს საჭიროებს. ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი 1,5 მლნ ლარით შარშან გამაგრებული 27 ობიექტი გარემონტდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, შიდა რეზერვების საშუალებით მოძიებული 1,5 მლნ ლარით დედაქალაქის საგანმანათლებლო ობიექტების სახურავების შეკეთება დაფინანსდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დედაქალაქში მოძრავი საქალაქო ტრანსპორტი მალე ახალი ფირნიშებით ივლის. მერიამ უკვე გამოაცხადა კონკურსი სამარშრუტო ტრანსპორტისთვის ახალი აზრების შემუშავებაზე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგაზაფხულო გაწვევის გეგმა 95,7 პროცენტით არის შესრულებული. უშუალოდ სამხედრო ნაწილებში 400 წვევამდელია გაწვეული, 558-მა კი სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების 200-ლარიანი ბეგარა გადაიხადა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გასული კვირის განმავლობაში თბილისის ბაზრობებზე ტრიქინელოზის სამი შემთხვევა დაფიქსირდა. სამივე შემთხვევა ბაზრების ვეტლაბორატორიებში შესული ღორის ხორცის გამოკვლევის შედეგად გამოვლინდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** წელიწადნახევრის წინათ დაწყებული "გადაუდებელი რეაბილიტაციის პროგრამის" ფარგლებში, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის არქივში დაცული 900 ძეგლი კომპაქტ-დისკებზე იქნა გადატანილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სავალუტო ფონდი საქართველოს მთავრობას ხორბლის იმპორტის დაბეგვრის რეჟიმის ოპტიმიზაციას ურჩევს", - განაცხადა სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა დავით კირვალიძემ. აშშ-ში ვიზიტის დროს იგი შეხვდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელს პაოლო ნეუჰაუსს, რომელმაც დადებითად შეაფასა საგადასახადო სისტემის მოწესრიგებისკენ გადადგმული ნაბიჯები. ბოლო პერიოდში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები, რითაც სასუქებისა და პესტიციდების იმპორტი დღგ-სგან გაათავისუფლა. მთავრობას უკვე წარედგინა და განხილვის სტადიაშია დსთ-ს სივრცის გარეთ მდებარე ქვეყნებიდან იმპორტირებული ხორბლის 12-პროცენტიანი გადასახადისგან გათავისუფლების პროექტი. **მედია-ნიუსი**

# სტუმარი შევარდნაძის სახელგანთქმული წარსულიდან

პირველი გვერდიდან

აქ უკვე დიდი ხანია, საუბრობენ, რომ არჩევნების წინ აუცილებელია საქართველოში გავლენიანი პოლიტიკური ფიგურების გაგზავნა - მათი, ვისი ავტორიტეტიც საკმარისი იქნება შევარდნაძის დასარწმუნებლად, რომ მომავალი არჩევნების დემოკრატიულობის ხარისხი პირდაპირ გავლენას მოახდენს საქართველოს მიმართ ამერიკის მეგობრობის ხარისხზე.

ჯეიმს ბეიკერი ერთ-ერთი ასეთი გავლენიანი ფიგურაა, რომლის საქართველოში გამოგზავნას, ბუნებრივია, სიმბოლური დატვირთვაც ჰქონდა. ის ბუშების ოჯახთან ძალზე დაახლოებული პირია, გარდა ამისა, დიდი ხნის პირადი ურთიერთობა აკავშირებს შევარდნაძესთან და მასზე უკეთ ვერავინ აუხსნის საქართველოს პრეზიდენტს, რომ არადემოკრატიული არჩევნები საბოლოოდ დაანგრევს მის იმიჯს, რომელიც წლების განმავლობაში გაბატონებული იყო ვაშინგტონში, და რის გამოც ის აბსოლუტურად გამორჩეული დამოკიდებულებით სარგებლობდა ამერიკის ადმინისტრაციის მხრიდან.

სავარაუდოა, რომ ვიზიტის დასრულების შემდეგ სპეციალური ბრიფინგი ჟურნალისტებისთვისაც მოეწყობა, სადაც ბეიკერი არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების აუცილებლობაზე ისაუბრებს და იმ მესიჯებზე, რომელიც ამერიკის ხელისუფლების სახელით შევარდნაძეს გადასცა.

საერთოდ, ბოლო დროს ვაშინგტონში ფიქრობენ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ნებისმიერი წარმომადგენლობითი დელეგაციის ვიზიტის დასრულების შემდეგ აუცილებელია სპეციალური პრესკონფერენციის მოწყობა, რათა მთავრობამ ამერიკის ხელისუფლების პოზიციის თავისებური ინტერპრეტაცია არ მოახდინოს და ისე არ გაავრცელოს მედიაში.

ერთ-ერთი მესიჯი, რომელსაც პრეზიდენტი ვაშინგტონიდან აუცილებლად მიიღებს, პროსახელისუფლებო ბლოკის დატოვება და არჩევნების დროს ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნება იქნება. მაგრამ, რამდენად შეასრულებს თუნდაც მისთვის ავტორიტეტული პირის მეშვეობით გადმოცემულ ამ რეკომენდაციებს შევარდნაძე - ეს უკვე სხვა საკითხია.

თუ პრეზიდენტის ბოლოდროინდელ, აბსოლუტურად არაადეკვატურ, აზრს (ამასთან ერთად, ფაქტობრივ ინფორმაციას) მოკლებული განცხადებებით


როგორც მეგობარი - მეგობარს.

ვიმსჯელებით, სავარაუდოა, რომ მას უბრალოდ ძალა და რესურსები აღარ ეყოფა საიმისოდ, რომ ბოლო დროს არჩეულ კურსს უღალატოს და ქვეყნის და დემოკრატიის სასარგებლოდ რადიკალური გადაწყვეტილებები მიიღოს.

შევარდნაძის ფიგურის პარადოქსულობა და ალბათ, პირველ რიგში, პირადი ტრაგედია არის ის, რომ იგი ყოველდღე, მიზანმიმართულად ანგრევს იმას, რასაც 90-იან წლებში მიაღწია, საკუთარი ავტორიტეტის ჩათვლით. და რაც მთავარია, ეს არა მარტო მის პირად, არამედ მთლიანად ქვეყნის ტრაგედიად იქცა.

ყველაზე საგანგაშო კი ის არის, რომ ენერგეტიკული დამოუკიდებლობა, რისკენაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ვისწრაფოდით (თითქოს რის გამოც ვითმენდით ცივ და ბნელ ზამთრებს) და რის გამოც ასე მნიშვნელოვანი გვეჩვენებოდა შევარდნაძის "საუკუნის პროექტები", დღეს იგივე შევარდნაძის მეთაურობით საქართველოს უუნარო და კორუმპირებულ ხელისუფლებას, კრიმინალურ ჯგუფებს, რომლებიც ვერა და ვერ დაკმაყოფილდნენ ენერგეტიკიდან მითვისებული მილიონებით, ლანგრით ისევ უკან მიაქვთ რუსეთთან.

"ეი-ი-ესის" წასვლას საქართველოდან წინ თითქმის აღარაფერი უდგას. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მსგავსად კომპანიის ვაშინგტონის სათაო ოფისში აბსოლუტურ დუმილს ინარჩუნებენ, ფაქტია, რომ "ეი-ი-ესი" რუსულ კომპანია "რაო-ეიესთან" მოლაპარაკებებს აწარმოებს და ალბათობა იმისა, რომ რამდენიმე თვეში საქართველოს ენერგეტიკის სტრატეგიული ობიექტები რუსეთის ხელში აღოჩნდება, ძალიან დიდია.

არავინ ამტკიცებს იმას, რომ "ეი-ი-ესი" შეცდომებს არ უშვებდა და შესაძლოა, სერიოზულ შეცდომებსაც. მაგრამ ისიც ცხადზე ცხადია, ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საქართველოში ამ კომპანიის მოღვაწეობა კრახით დამთავრებულიყო.

"ეი-ი-ესის" წასვლას კი მართლაც სერიოზული შედეგები მოჰყვება. პირველ რიგში, ეს უმძიმესი დარტყმა იქნება ქვეყნის საინვესტიციო იმიჯისთვის. განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ხელისუფლებამ ქვეყნიდან უკვე გააგდო ორი უზარმაზარი საერთაშორისო კომპანია, ბრიტანული და თურქული ავიაკომპანიები. ამის შემდეგ, საერთოდ ძალზე ძნელი წარმოსადგენია, რომ

რომელიმე სოლიდურმა კომპანიამ საქართველოში ინვესტიციის დაბანდება მოინდომოს.

და რაც ყველაზე მთავარია, თუ შალვა ნათელაშვილის ურცხვი რიტორიკით თაბრუდახვეულ ადამიანებს ჰგონიათ, რომ ბოროტ ამერიკელებს კეთილი რუსები შეცვლიან და შუქს ან უფასოდ, ან კიდევ კაპიკებად მისცემენ, ძალიან ცდებიან. კომუნიზმი უკან აღარ დაბრუნდება, აღარასოდეს!

თუ "ეი-ი-ესის" დროს რაღაც პროგრესი მაინც იგრძნობოდა, რუსების შემოსვლის შემთხვევაში ბარდაგი გარანტირებულია. სამაგიეროდ, სრული სამოთხე ექნებათ ხელისუფლებაში მოკალათებულ კლანებს. ისევ ექნებათ გარანტირებული მილიონები ენერგეტიკის შავი ხვრელებიდან, ისევ არ გადაიხდიან მათ მიერ კონტროლირებადი მსხვილი საწარმოებისთვის მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურს. გადაუხდელობის საბაბით კი დენის მიწოდებას, რა თქმა უნდა, ისევ მოსახლეობას შეუწყვეტენ.

მოკლედ, რუსებს სამშვიდოების დატოვების უფლება უკვე უვადოდ მივეცით, ახლა მთავარია, ენერგეტიკის სტრატეგიული ობიექტებიც გადავცეთ უვადო მფლობელობაში, შემდეგ გულის მოსაფხანად "სოროსის" ფონდსაც დავატოვებინოთ ქვეყანა (თუ საერთაშორისო კომპანიები გავაგდეთ, არც სოროსის გაგდება იქნება პრობლემა) და საბოლოოდ ბელარუსი რომ გავხდეთ, მხოლოდ რუსეთთან შეერთების ოფიციალური მოთხოვნის გაკეთებაღა დაგვჭირდება.

ერთადერთი, რაც მოვლენათა ამ ლოგიკურ ჯაჭვში გაუგებარია - რატომ არ მივეცით რუსეთს პანკისში შესვლის და იქ სპეცოპერაციის ჩატარების უფლება?

ენერგეტიკული დამოუკიდებლობის დაკარგვიდან - პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვამდე ერთი ნაბიჯილა რჩება. მითუმეტეს მაშინ, როცა რუსეთი ამ ბერკეტს ყოველთვის საჭირო დროს გამოიყენებს საიმისოდ, რომ საქართველოს ხელისუფლება სერიოზულ პოლიტიკურ კომპრომისებზე დაიყოლიოს.

სავარაუდოა, რომ ბეიკერი ამ საკითხზეც ისაუბრებს შევარდნაძესთან, რადგან მოსალოდნელ საფრთხეს კარგად გრძნობენ ვაშინგტონში. მაგრამ ვაშინგტონიც არ არის ერთგვაროვანი საქართველოს პრობლემების მიმართ. ამიტომ, საკმაოდ გაჭირდება მისი დაყოლიება, რომ კიდევ ერთხელ, რაღაც გზებით დაგვეხმაროს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში.

# „შევარდნაძე არაფატის მდგომარეობაში იმყოფება..."

პირველი გვერდიდან

**"აშშ-ს საქართველოში ხანგრძლივი ინტერესები გააჩნია და სურს, დღესვე დაადგინოს, რომელი პოლიტიკური ძალა სარგებლობს ხალხის მხარდაჭერით, რათა მასთან შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივები განსაზღვროს,"** - განუცხადა "ინტერ-პრესს" ნათელაშვილმა.

"ლეიბორისტთა" ლიდერის მონაცემებით, 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ამერიკის იმჟამინდელი ელჩი იალოვეცი **"პირადად ხელმძღვანელობდა გაყალბებას"**. მისივე პროგნოზით, 1999 წლისგან განსხვავებით, ამჯერად ამერიკა ყველაფერს გააკეთებს ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ობიექტურად ჩატარებისთვის.

"ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილიც ბეიკერის ვიზიტს **"საქართველოს ხელისუფლებისგან შევარდნაძის მშვიდობიანად ჩამოშორების მზადებად"** აფასებს.

მისი აზრით, საქართველოში შევარდნაძის მეგობრის ამ სტატუსით გამოგზავნა სწორედ იმას ნიშნავს, რომ აშშ დაინტერესებულია, შევარდნაძესა და მის გუნდს სხვა პოლიტიკური ძალა ჩაანაცვლოს.

**"შევარდნაძემ აშშ-ის ნდობის მანდატი ამოწურა და ბეიკერი შეეცდება, დაარწმუნოს პრეზიდენტი, პოლიტიკიდან მშვიდობიანი წასვლისათვის მოემზადოს. ის ეტყვის: ვადაზე ადრე არავინ გაგდებს, მაგრამ დიდი პოლიტიკიდან წასასვლელად მზად უნდა იყო,"** - დარწმუნებულია "ნაციონალების" ერთ-ერთი ლიდერი.

ბერძენიშვილის ვარაუდით, 11-წლიანი პაუზის შემდეგ ბეიკერი ქართველ მეგობარს ნოემბრისათვის დანიშნული საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას ურჩევს და რუსეთისთვის საქართველოს ენერგეტიკაზე კონტროლის გადაცემის მცდელობის გამო უსაყვედურებს. მისივე პროგნოზით, საუბარი შეეხება რუსული "გაზპრომისთვის" "ენგურჰესის" შესაძლო გადაცემასაც.

"ტრადიციონალისტთა" ლიდერი აკაკი ასათიანი კი აცხადებს: **„ცნობილია, რომ ბეიკერიც და სხვებიც შევარდნაძეს სახლში წასვლას ურჩევენ".**

პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი ლევან გაჩეჩილაძეც მიიჩნევს, რომ ჯეიმს ბეიკერი აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის კონკრეტული დავალებითა და გაფრთხილებით ჩამოდის, რომ არჩევნები ჩატარდეს სამართლიანად **"და არა ისე, როგორც ეს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს სურს"**.

**"ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს სწორ, დემოკრატიულ განვითარებას უჭერს მხარს, რისი მთავარი გარანტიცაა სამართლიანი არჩევნები, სწორედ ეს არის ბუშის მესიჯი,"**- განუცხადა მან "პრაიმ-ნიუსს".

ამასთან, ლევან გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ შესაძლოა, ჯეიმს ბეიკერისა და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის შეხვედრისას განხილვის თემა 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებიც იყოს.

პოლიტოლოგ რამაზ კლიმიაშვილის აზრით, თბილისში ვიზიტის დროს შევარდნაძის მეგობარი ბეიკერი შეეცდება პრეზიდენტის დარწმუნებას იმაში, რომ მისმა რეჟიმმა **"საკუთარი თავი ამოწურა, სახელისუფლებო სადავეებზე ჩაბღაუჭება საჭირო არ არის და გაჯიუტების შემთხვევაში შევარდნაძე პრობლემებს შეუქმნის როგორც საქართველოს, ასევე აშშ-ის ინტერესებს სამხრეთ კავკასიაში"**. მისივე თქმით, როგორც ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში, შევარდნაძის მხარდამჭერი ძალების პოლიტიკური ასპარეზიდან წასვლა **"არანაირ ტრაგედიას არ უნდა წარმოადგენდეს"**.

**"შევარდნაძე პალესტინის ავტონომიის ლიდერის - არაფატის მდგომარეობაში იმყოფება. მას პატივს სცემდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ნდობის მანდატი ამოიწურა, აშშ-მ მას თანადგომაზე უარი განუცხადა,"** - აღნიშნა კლიმიაშვილმა, რომლის მონაცემებით, აშშ-ს საქართველოში მოვლენების იუგოსლავიური სცენარით განვითარება არ სურს. **"აშშ-ში ესმით, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, რომელმაც ქვეყანა აბსოლუტური კატასტროფის წინაშე დააყენა და კვლავ ცდილობს ძალაუფლების შენარჩუნებას, შეიძლება, საქართველო სამოქალაქო ომსა და ქაოსში ჩაითრიოს,"** - განმარტა მან.

# „ქართველებმა უნდა შეძლონ პოლიტიკური პროცესების დალაგება"

პირველი გვერდიდან

- ამერიკაში და ნატო-შიც ფიქრობენ იმაზე, რომ ნატო-ს ჯარები უფრო ახლოს განთავსდნენ არასტაბილურობის შესაძლო არეალებთან. ამჟამად საუბარია ამერიკული ჯარების გადასროლაზე რუმინეთში, ბულგარეთსა და პოლონეთში. ოღონდ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა იმდენად სამხედრო ბაზების დაარსება, რამდენადაც სამხედრო ინფრასტრუქტურის შექმნა იმ შემთხვევისათვის, თუ ჩვენ იქ ჯარების გადასროლა მოგვიწევს: სამხედრო აეროპორტების მომზადება, საწვავის მომარაგება და ა.შ.

ყველასათვის ცხადია, რომ გერმანიაში ამერიკული ჯარების კონცენტრაცია სულ უფრო ნაკლებ საჭიროა, როგორც სტრატეგიული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. რაც შეეხება აზერბაიჯანს, ვფიქრობ, ამაზე საუბარი ნაადრევია. სანამ ეს საკითხი გადაწყდება, რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას უნდა გაეცეს პასუხი: რისთვის უნდა გამოვიყენოთ ეს ჯარები, რა პრობლემები შეიძლება ამან გამოიწვიოს, რას იტყვის ამაზე რუსეთი და ა.შ. ჯერ ამ საკითხებზე არავინ საუბრებს.

**- ასე მნიშვნელოვანია, რას იტყვის ამაზე რუსეთი?**

- ჩვენ რუსეთთან აღარ გვაქვს კონფრონტაციული ურთიერთობები, თუმცა როცა საქმე ჩვენს ეროვნულ უსაფრთხოებას ეხება, არც ერთ ქვეყანას არ მივცემთ ვეტოს უფლებას.

თუკი ევრაზიის ტერიტორიაზე რომელიმე არეალში სტაბილურობის შექმნა გსურს, არ შეიძლება რომელიმე ადგილობრივი ქვეყნის ინტერესების უგულებელყოფა, მათ შორის არც რუსეთისა. ჩვენ არ ავაშენებთ ბაზას მარტო იმიტომ, რომ რომელიმე ქვეყანაში ბაზა გვქონდეს, პირველ რიგში ჩვენთვის საინტერესოა, რამდენად შეუწყობს ეს ხელს სტაბილურობის გამტკიცებას.

როცა შესაძლებელია, სტაბილურობის დამყარებაში რუსეთთან ვითანამშრომლოთ, მაშინ ჩვენ ამას ვაკეთებთ, თუ შეუძლებელია, მაშინ ჩვენი გზით მივდივართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ გამომწვევი ნაბიჯები უნდა გადავდგათ.


რობერტ ჰანტერი სტუმრად "24 საათის" რედაქციაში.

**- საქართველო აცხადებს, რომ ნატო-ში სურს შესვლა. თქვენი აზრი, თავად ნატო-ს თუ სურს კავკასიაში გაფართოება?**

- თუ გადაავლებთ ბოლო წლებში თვალს ნატო-ს განვითარებას, ტენდენცია გაფართოებისაკენ აშკარაა. 1999 წელს, პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხეთის გაწევრიანების შემდეგ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სამ წელიწადში ნატო-ში კიდევ შვიდი ქვეყანა შევიდოდა. ნაწილობრივ ბუნებრივი განვითარების, ნაწილობრივ ერაყის მოვლენების, დიდწილად კი კანდიდატი ქვეყნების მიერ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯების შედეგად, ეს შესაძლებელი გახდა.

დღეს ნატო-ს წევრობა არ ნიშნავს იმას, რასაც ცივი ომის დროს ნიშნავდა. ახლა უსაფრთხოების ცნება უფრო "რბილი" გახდა, ნატო-ს წევრობაც უფრო ევროატლანტიკური ოჯახის წევრობაა. ეს კი ნიშნავს, რომ ქვეყნები, რომლებსაც აქვთ განვითარებული დემოკრატიული ინსტიტუტები, თავისუფალი და მზარდი ეკონომიკა, არა აქვთ ტერიტორიული პრეტენზიები მეზობლების მიმართ, შეიძლება განიხილონ ნატო-ს კანდიდატ სახელმწიფოებად. რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, რომ სამხედრო სამოქალაქო კონტროლი არსებობდეს და გენერლები არ ცდილობდნენ ხელისუფლების მოპოვებას. საჭიროა არმიის მოდერნიზაცია და მის დასავლურ პრინციპებზე გადაყვანა. ეს არ ნიშნავს, მაინცადამაინც, არმიის გაზრდას, შეიძლება პირიქით, მისი შემცირება იყოს საჭირო. ანალოგიურად, შეიძლება საჭირო იყოს არა ახალი ტანკების შეძენა, არამედ ახალი რადიოების ყიდვა.

ბოლო შვიდი წევრი ქვეყნისათვის შევიმუშავეთ გაწევრიანების სამოქმედო გეგმა, რომელიც აწესებს გაწევრიანების ძირითად კრიტერიუმებს. თუმცა, მისი შესრულება არ არის გაწევრიანების გარანტია, რადგან ყველა წევრმა ქვეყანამ უნდა გადაწყვიტოს, სურს თუ არა ახალი წევრის მიღება.

ეს კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს საქართველომაც, რათა მისი გაწევრიანების საკითხი რეალურად დადგეს. იმაზე საუბარი, თუ როდის შეიძლება ეს მოხდეს, ჯერ ნაადრევია.

**- არის თუ არა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა - ნატო-ში გაწევრიანების აუცილებელი პირობა?**

- მოდით, ასე ვთქვათ. აშშ და ნატო-ს ქვეყნები ყურადღებით დააკვირდებიან საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ პროგრესს. თუ საქართველო ყველაფერს გააკეთებს წინსვლის მისაღწევად და მეზობლებთან პროდუქტიული ურთიერთობების დასამყარებლად, ხოლო მეზობლები იგივეთი არ უპასუხებენ, საქართველოს ამის გამო არავინ დასჯის. არ შეიძლება, რომ ერთი ქვეყნის უსაფრთხოება მეორე ქვეყნის მოქმედებებზე იყოს დამოკიდებული.

საქართველოს ურთიერთობები ნატო-სთან, ევროკავშირთან, დასავლურ სტრუქტურებთან დამოკიდებულია იმაზე, რას გააკეთებს თავად საქართველო და არა იმაზე, რას აკეთებენ სხვები. ცხადია, რომ ნატო-ს წევრების გარდა, არავის ექნება უფლება, ვეტო დაადოს საქართველოს გაწევრიანებას ნატოში.

**- ბოლო კითხვა. თქვენ უკვე რამდენიმე წელია საქართველოს აკვირდებით. როგორ შეაფასებდით ქართული დემოკრატიის განვითარებას ბოლო წლებში?**

- საქართველოში ძალიან ბევრ ადამიანია, ვისაც სურს, ხელი შეუწყოს ქვეყანაში პროგრესის მიღწევას, გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, რაც იმედის საფუძველს იძლევა.

მეორე მხრივ, აუცილებელია, რომ ქართველებმა შეძლონ პოლიტიკური პროცესების დალაგება. საზღვარგარეთ ძალიან ბევრი ადამიანი დიდი ყურადღებით აკვირდება მომავალ საპარლამენტო არჩევნებს. ჩვენ ის კი არ გვაინტერესებს, ვინ მოიგებს და ვინ წააგებს, ეს ჩვენი საქმე არ არის, ჩვენთვის მთავარია პროცესი: ამომრჩეველთა რეგისტრაცია, საარჩევნო კოდექსი, საარჩევნო კომისია, სამართლიანი ხმის მიცემა. ბევრი, საქართველოს განვითარებაში მიღწეულ პროგრესს, ამ არჩევნების მიხედვით შეაფასებს. ის ადამიანები, ვისთანაც ურთიერთობა მაქვს, იმედოვნებენ, რომ საქართველო შეძლებს ამ ამოცანის გადაჭრას.

# რევაზ ადამიას შეფასებით, გაერო-ს და რუსეთს ორმაგი სტანდარტები აქვთ

ლელა მჭედლიძე

დსთ-ს სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელების საკუთარი პროექტი ჩვენმა ხელისუფლებამ უკვე მოამზადა და რუსეთის ხელისუფლებასაც გადაუგზავნა. მისი შინაარსის დაკონკრეტებისაგან, უშიშროების საბჭოს მდივნის თედო ჯაფარიძის განცხადებით, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები, ოფიციალური მოსკოვის პასუხამდე, თავს იკავებენ. თუმცა, უკვე ცნობილია, რომ საუბარია, დაახლოებით, ისეთ პროექტზე, რომელზეც სოჭში საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტები შეთანხმდნენ. კონკრეტულად: სამშვიდობო ძალები ავტომატურად რჩებიან კონფლიქტის ზონაში მანამ, სანამ სამისო პრეტენზიას რომელიმე მხარე არ გამოთქვამს...

როგორც ამჟამად სამშობლოში მყოფი, გაერო-ში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი რევაზ ადამია აცხადებს: **"სოჭში პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ, გაერო-ს ფარგლებში მეგობრებს შორის გარკვეული დაბნეულობა გაჩნდა, რადგან სოჭის შეხვედრამ, ერთგვარად, ჟენევის შეხვედრის მიმართულებები გადაფარა. თუმცა, შემდეგ ჩვენ დავანახეთ საერთაშორისო საზოგადოებას, რომ სოჭის შეხვედრას ჟენევის შეხვედრის გაგრძელებად აღვიქვამთ. ანუ არ მიგვაჩნია, რომ თუნდაც აფხაზეთის პრობლემა მხოლოდ სამმხრივი (საქართველო-რუსეთი-აფხაზეთი) მცდელობით, მეგობრების და გაერო-ს დახმარების გარეშე არ გადაწყდება. სოჭის შეხვედრის შემდეგ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში თითქოს გარკვეული დათბობა იგრძნობა. ამავე დროს, სახეზეა ძველი მოვლენები, რომელიც ანექსიის მცდელობად შეფასდა. კვლავ მოძრაობს მატარებელი სოჭი-სოხუმის მიმართულებით, კვლავ რიგდება რუსული პასპორტები, ძალაშია არათანაბარი სავიზო რეჟიმი"**. გაერო-ში ჩვენი წარმომადგენლის შეფასებით, რუსეთი, მხოლოდ ჩვეულ, ორმაგ პოლიტიკას მისდევს. ორმაგი პოზიციიდან შეიძლება შეფასდეს გაერო-ს მეგობარი ქვეყნების ჯგუფის პოზიციაც სამშვიდობო ძალების საკითხისადმი.

**"ერთი მხრივ, სწორედ ამერიკელები იყვნენ მომხრე სამშვიდობოებთან დაკავშირებული მანდატის ასეთი სახით გაგრძელებისა. თუმცა, ამავე დროს, ჩვენი მეგობრები გვაფრთხილებენ, რომ სხვა სამშვიდობოების შემოსვლისთვის საფუძველი თუ არ მომზადდა, რუს სამშვიდობოებს შეუძლიათ, სერიოზული დესტაბილიზაციაც გამოიწვიონ. ბოლო დროს კოდორის მოვლენებმაც აჩვენა, რომ რუსი სამშვიდობოები არც თუ ისე კარგად ასრულებენ თავის მოვალეობას. არა თუ ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების, არამედ, გაერო-ს თანამშრომელთა დაცვის თვალსაზრისითაც. სწორედ ამას მოჰყვა გაერო-ს ე.წ. თვითდამცავი ძალების შექმნის თაობაზე საუბრების განახლება. ეს იდეა პირველად 4-5 წლის წინ გაჩნდა, როცა პირველად გაიტაცეს გაერო-ს დამკვირვებლები. რუსეთის წარმომადგენლებმა მაშინ ამ თემაზე საუბარიც კი დაბლოკეს უშიშროების საბჭოს სხდომაზე. გაერო-ს სამდივნოს წარმომადგენლები ნამდვილად შეშფოთებულნი არიან მისიის უსაფრთხოების პრობლემით. იქნება თუ არა კონფლიქტის ზონაში "თვითდამცავი ძალები", იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებენ რუსეთის დარწმუნებას ამის აუცილებლობაში"**.

როგორ შეხვდა 4 ივლისს – დამოუკიდებლობის დღეს - ამერიკა ერაყის ომის შემდეგ? ადამიას აზრით, 11 სექტემბერის შემდეგ სერიოზულად შეცვლილი აშშ-ს პოლიტიკური ფსიქოლოგია, ისევ საქართველოსთვის შეიძლება აღმოჩნდეს სასარგებლო. **"ბოლო ორი წლის განმავლობაში აშშ-მ ორი ძალზე სერიოზული ოპერაცია განახორციელა, ავღანეთსა და ერაყში. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს შორეულ, მაგრამ მაინც სამეზობლოში ამერიკის გააქტიურებამ უნდა გაზარდოს საქართველოს ხვედრითი როლი ევრაზიის ზოგადპოლიტიკურ სცენაზე. გარკვეული როლი იმანაც ითამაშა, რომ საქართველო ანტიერაყული კოალიციის წევრია. ეს აშშ-ს ჩვენი ქვეყნისადმი პოზიციის ჩამოყალიბებაში დაეხმარა. სახელმწიფო დეპარტამენტში, პენტაგონში საუბრების მიხედვით, აშშ-ს სურვილი კავკასიის რეგიონში კონფლიქტების მოგვარების პროცესში ჩართვისა დღეს, როგორც არასდროს, ისე მაღალია. მოხდება თუ არა ეს უახლოეს მომავალში ვერ გეტყვით. აქ რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი. მათ შორის, გადასაწყვეტია შიდა პრობლემები - არჩევნების ობიექტურად ჩატარება, რეფორმების მიმდინარეობა და ა.შ."**

# ბიუჯეტიდან 232 ათასი ლარი მოიპარეს

ნინო ნარჩემაშვილი

საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის სხდომამ მორიგი კომპლექსური რევიზიის შედეგები განიხილა, რომელიც 1999 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში საქართველოში უცხოური ინვესტიციების მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა ან საინვესტიციო ხელშეკრულებების საფუძველზე შემოტანილ პროდუქციაზე გავრცელებული საბაჟო და საგადასახადო შეღავათების კანონიერებას ეხებოდა. კონტროლის პალატის დასკვნაში ნათქვამია, რომ შემოწმებულ საწარმოთა საქმიანობაში, რომელთა შორის ისეთი სოლიდური ორგანიზაციებიც არიან, როგორიცაა "ქართუ ჯგუფი", "ალდაგი", "ოტელ თბილისი", "სანტე უოლშ პროდუქტები", "მარტინ ბაუერი" "ქართული შაქარი" და სხვა, მნიშვნელოვანი დარღვევებია გამოვლენილი. ამ კუთხით, არადამაკმაყოფილებლად შეფასდა საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების მუშაობა. კონტროლის პალატის გადაწყვეტილებით, საერთო ჯამში, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ძირითადი გადასახადების სახით დარიცხვას 232 ათას ლარზე მეტი თანხა დაექვემდებარა. შესაბამისი ინფორმაცია საბაჟო და საგადასახადო ორგანოებს გაეგზავნათ.

კონტროლის პალატის მეორე დეპარტამენტის იურისტის, ლაშა ჭანტურიშვილის განცხადებით, აღმოჩენილი დარღვევები საკმაოდ სერიოზულია. ძირითადი საფინანსო-ეკონომიკური დარღვევების გარდა, რიგ საწარმოებში ადგილი აქვს "უცხოური ინვესტიციების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათებით უკანონოდ სარგებლობის და ლიცენზიაში მითითებული ოდენობის ინვესტიციის რეალურად განუხორციელებლობის ფაქტებს. მისივე თქმით, აღნიშნული დარღვევების მიმართ კონტროლის პალატის მიერ ფინანსური სანქციები ვერ იქნა გამოყენებული. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ საგადასახადო კოდექსის მიხედვით, შესაბამისი ორგანოების მიერ წერილობითი მითითებების შედეგად, გადასახადის თანხის შემცირებისას, გადამხდელის მიმართ ფინანსური სანქციები არ ხორციელდება. ლაშა ჭანტურიშვილის ინფორმაციით, საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების მიერ არასწორი წერილობითი მითითებებია წარმოდგენილი, სადაც აღნიშნულია, რომ საწარმო შეღავათებით სარგებლობს, სინამდვილეში კი ასე არ არის.

საბოლოო ჯამში, კონტროლის პალატის პრეზიდიუმის დადგენილებით, ფინანსთა სამინისტროს, გადასახადების ამოღების მიზნით, საჭირო ღონისძიებების გატარება დაევალა; მან აგრეთვე, უნდა უზრუნველყოს საგადასახადო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რომლითაც განისაზღვრება - მსგავსი არაკანონიერი წერილობითი მითითებების გაცემის შემთხვევაში, ვინ და როგორ უნდა აგოს პასუხი.

# მოძრაობა ჩაკეტილ წრეზე

## შესაძლოა, ელექტროენერგეტიკაში გამოუვალი სიტუაცია შეიქმნას

მაია ურუშაძე

გუშინ, 9-საათიანი განხილვის შემდეგ, უზენაესმა სასამართლომ ენგურჰესის ხელმძღვანელობის მიერ სემეკ-ის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის განხილვა ორშაბათისთვის გადადო. სარჩელი ელექტროენერგიის ტარიფში სადგურის შემცირებული წილის გაზრდას შეეხება. როგორც ცნობილია, გასული წლის ბოლოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ლეიბორისტების მოთხოვნის საფუძველზე, ელექტროენერგიის ტარიფი შეამცირა. შესაბამისად, ტარიფში შემცირდა გენერაციის ობიექტების კუთვნილი წილიც. ყველაზე მეტად დაზარალდა ენგურჰესი, რომლის წილიც 30 პროცენტით შეიკვეცა.

ლეიბორისტები კვლავ აქტიურობენ და ენგურჰესის სარჩელის განხილვის შეწყვეტას ითხოვენ. ამასობაში კი ენგურჰესზე ფინანსურმა პრობლემებმა იმატა, სადგურის თანამშრომლები კი ხელფასის მოთხოვნით იფიცებიან.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ტარიფში ენგურჰესის წილის 30-პროცენტიანი შემცირება სადგურის გაკოტრებას გამოიწვევს. ექსპერტი თემურ კოპალეიშვილი აცხადებს, რომ სემეკი არასწორად მოიქცა, როდესაც ტარიფი პოლიტიკური მოტივაციით, ეკონომიკური გაანგარიშების გარეშე შეამცირა. **"სჯობდა, სასამართლოს გადაწყვეტილება სხვაგვარად აღსრულებულიყო და კომისიას მთავრობისათვის კომპენსაციის სახით ტარიფის სუბსიდირება ეთხოვა,"** - მიიჩნევს კოპალეიშვილი.

სემეკ-ის იურისტის თამაზ ინაშვილის აზრით კი, ენგურჰესმა ტარიფის გაზრდის ნაცვლად გამომუშავებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი უნდა გაზარდოს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ენგურჰესი საქართველოს ენერგოსისტემის უმნიშვნელოვანესი ობიექტია და მისი ეკონომიკური ინტერესების შელახვა ქართულ ენერგეტიკას გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს. სხვათა შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული ელექტროენერგიის ტარიფის შემცირების გადაწყვეტილება მიუღებელი აღმოჩნდა ევრობანკისა თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებისთვისაც. სავალუტო ფონდის ერთ-ერთი უმთავრესი რეკომენდაცია სწორედ ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდას ითვალისწინებს.

საბოლოოდ, ელექტროენერგეტიკაში ჩაკეტილი წრე შეიქმნა; საქართველოს მთავრობა გამოუვალ მდგომარეობაშია: თუ ელექტროენერგიის ტარიფი არ გაიზრდება, ხელისუფლებას სავალუტო ფონდთან სერიოზული პრობლემები ელის, ხოლო თუ ენგურჰესის სარჩელი დაკმაყოფილდება, სემეკ-ს ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდა მოუწევს, რაც, ბუნებრივია, საზოგადოების უკმაყოფილებას გამოიწვევს.

მონიტორინგი

# სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

გუშინ ფინანსთა სამინისტრომ გამოაქვეყნა სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ოპერატიული მაჩვენებლები.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ექვსი თვის გეგმა 1 ივლისისათვის შესრულებულია 84 პროცენტით და გარღვევა 86 მილიონ 800 ათასი ლარია. დეფიციტის დაფინანსების ექვსი თვის გეგმა შესრულებულია 78 პროცენტით და გარღვევა 26 მილიონ 980 ათასი ლარია.

**სულ სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის შემოსავლები და დაფინანსება შესრულებულია 83 პროცენტით. შესაბამისად, ექვსი თვის ხარჯებში გარღვევა 113 მილიონ 780 ათასი ლარია.**

**კანონმდებლობის შესაბამისად, თუ გარღვევამ 10 პროცენტს გადააჭარბა, მთავრობა ვალდებულია პარლამენტს წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების პროექტი.**

**ექვსი თვის ბალანსების გამოქვეყნების შემდეგ, ჩვენ შემოგთავაზებთ დეტალურ ანალიზს, თუ როგორ აისახა ექვსი თვის ხარჯების გეგმაზე თითქმის 114 მილიონიანი დანაკლისი.**

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

## სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 1 ივლისისათვის

მლნ. ლარებში

| დასახელება | წლის დაზუსტებული | ექვსი თვის დაზუსტებული | შესრულება | % წლის დაზუსტებულთან | % ექვსი თვის დაზუსტებულთან |
|---|---|---|---|---|---|
| სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 1127.4 | 529.8 | 443.00 | 39% | 84% |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 833.7 | 385.09 | 316.86 | 38% | 82% |
| საგადასახადო შემოსავლები | 659.9 | 330.64 | 275.83 | 42% | 83% |
| არასაგადასახადო შემოსავლები | 78.4 | 36.16 | 31.69 | 40% | 88% |
| გრანტები | 95.4 | 38.3 | 9.34 | 10% | 24% |
| სოციალური ფონდი | 244.2 | 116.81 | 107.44 | 44% | 92% |
| საგზაო ფონდი | 49.5 | 24.05 | 18.49 | 37% | 77% |
| დეფიციტის დაფინანსება | 239.8 | 124.34 | 97.36 | 41% | 78% |
| [illegible] | 8.5 | 8.5 | 7.53 | 89% | 89% |
| [illegible] | 22 | 19.18 | 13.77 | 63% | 72% |
| [illegible] | 40 | 29.54 | 18.51 | 46% | 63% |
| [illegible] | | | 0 | | |
| [illegible] | 41.5 | 9.51 | 4.57 | 11% | 48% |
| [illegible] | 127.8 | 57.61 | 52.98 | 41% | 92% |

| დასახელება | წლის დაზუსტებული | ექვსი თვის დაზუსტებული | შესრულება | % წლის დაზუსტებულთან | % ექვსი თვის დაზუსტებულთან |
|---|---|---|---|---|---|
| საგადასახადო დეპარტამენტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 511.7 | 257.48 | 244.35 | 48% | 95% |
| საბაჟო დეპარტამენტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 389.1 | 183.86 | 145.25 | 37% | 79% |

# ინდონეზიური სამზარეულო საბავშვო მოედნებისთვის

უმაღლესი კლასის ვახშმის წყალობით, ძალიან მალე თბილისელ ბავშვებს ახალი სათამაშო მოედანი ექნებათ. ეს წამოწყება, ამჯერად, სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასის" დამსახურებაა, რომლის საქველმოქმედო საქმიანობა, ბიზნესთან ერთად, დედაქალაქში უკვე თორმეტი წელიწადია გრძელდება.

საქველმოქმედო ვახშამი, რომელიც სასტუმროს გენერალური მენეჯერის, რიჩარდ დოილთის ინიციატივით შედგა, მთლიანად ინდონეზიურ სამზარეულოს მოიცავდა. მოსაწვევის ღირებულება ერთ პერსონაზე 75 ამერიკული დოლარი იყო.

ინდონეზიელი მზარეულის მიერ მომზადებული ეგზოტიკური კერძებისა და "შერატონის" ტრადიციულად დახვეწილი მომსახურების წყალობით, საქველმოქმედო საღამო წარმატებული გამოვიდა. ელიტარულ და საპატიო სტუმრებს შორის იყვნენ იტალიის ელჩი საქართველოში ფაბრიციო რომანო, ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი ფადი ასლი, გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი ლენს კლარკი, გაეროში საქართველოს ელჩი რევაზ ადამია და სხვები. საქველმოქმედო ვახშმიდან შემოსულმა თანხამ სამი ათასი ამერიკული დოლარი შეადგინა, რაც თბილისში მერიის მიერ წინასწარ შერჩეულ ადგილას სათამაშო მოედნების მშენებლობას მოხმარდება.



*შეკრებილი თანხა სათამაშო მოედნების მშენებლობას მოხმარდება.*

*24 საათი*

# ვანის გამგებელი შეიძლება "ნაციონალებთან" მომხდარ ინციდენტს შეეწიროს

ბექა სისაური
ქუთაისი

ვანის გამგებლის ალეკო ბელთაძის გარშემო სიტუაცია იძაბება. ორი კვირის წინ მისი თანამდებობიდან გადაყენების საკითხი პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ პრეზიდენტთან დააყენა. ახლახან კი ინტერნეტში იმერეთის რწმუნებულის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დასკვნა გამოქვეყნდა, რომელშიც 4 ივნისს ვანში, "ნაციონალებსა" და ვანელების მცირე ჯგუფს შორის მომხდარ ინციდენტში გამგებელი ალეკო ბელთაძეა მხილებული.

ზუსტად ერთი თვის წინ, ვანის მოსახლეობასთან შესახვედრად მიმავალ კობა დავითაშვილს, სოფელ შუამთასთან "კამაზით" გზა ჩაუხერგეს, ვანელების აგრესიულად განწყობილმა მცირე ნაწილმა დავითაშვილი ვანში არ შეუშვა, რასაც შეხლა-შემოხლა მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ ვანის პოლიციის უფროსი და გამგებელი ადგილზე იმყოფებოდნენ, ინციდენტის ასალაკვეთად მათ არავითარი ზომები არ მიუღიათ. უფრო მეტიც, თვითმხილველთა განმარტებით, გზის გადაკეტვის მითითებებს უშუალოდ ვანის გამგებელი იძლეოდა. რწმუნებულის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მომზადებულ დოკუმენტში ზემოთ ნახსენები ფაქტები დადასტურებულადაა მიჩნეული. დოკუმენტის შემაჯამებელ ნაწილში ასეთი დასკვნაა გაკეთებული: **"4 ივნისს ვანში განვითარებულ პროცესებში ვანის რაიონის ხელმძღვანელობა და უშუალოდ, გამგებელი ალეკო ბელთაძე უძლური აღმოჩნდა, ჟურნალისტები და შეკრებილი საზოგადოება შეურაცხყოფისაგან დაეცვა, თავიდან აეცილებინა ინციდენტი და ჩამოსული პირებისთვის თავისუფლად გადაადგილების საშუალება მიეცა (იგი აღნიშნულ მოვლენებს, გარკვეულწილად, ინსპირირებას უწევდა). მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაისვას ვანის რაიონის გამგებლის ალეკო ბელთაძის სამსახურებრივი შესაბამისობის საკითხი... ასევე, აუცილებლად მიგვაჩნია, რომ ალეკო ბელთაძემ 4 ივნისის ინციდენტის გამო ჟურნალისტებსა და საზოგადოებას საჯარო ბოდიში მოუხადოს."**

სამხარეო ადმინისტრაციის სამსახურს, რომელსაც რწუნებულის პრესმდივანი ზეკო ხაჩიძე ხელმძღვანელობს, ბელთაძის მოქმედებების შესწავლა უშაულოდ შაშიაშვილმა დაავალა. **"დასკვნა არ მინახავს და არც გამგებელთან მქონია საუბარი. ბელთაძემ ძალიან სერიოზული შეცდომა დაუშვა და ეს არ უნდა მომხდარიყო. თუკი მისი ბრალეულობა დადასტურდება, მე ვიქნები ის პიროვნება, ვინც მისი გადაყენების საკითხს დააყენებს,"** - აცხადებს თემურ შაშიაშვილი.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, გუშინ "ნაციონალებმაც" ატეხეს განგაში. ისინი სამხარეო პოლიციის უფროსის, ზაზა ძნელაძისგან ვანის პოლიციის უფროსის გადაყენებას მოითხოვენ. "ნაციონალები" აცხადებენ, რომ შესაბამისი წერილი ძნელაძესთან 8 ივნისს გააგზავნეს და დღემდე პასუხიც კი არ მიუღიათ.

# გელაშვილს საქართველოში ექსტრადირება არ ელის

*თავის დროზე ედუარდ შევარდნაძის მიერ შვილად მონათლულ, მერე კი მის წინააღმდეგ ტერაქტის მოწყობისთვის პატიმრობამისჯილ, მოგვიანებით, იმავე შევარდნაძის მიერ ამ პატიმრობიდან დახსნილ გიგა გელაშვილს, რომელსაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოების სამსახურის უფროსობას უწინასწარმეტყველებდნენ, ამჯერად ისრაელის სამართალდამცველებთან მოუწევს ურთიერთობა.*

სოფიკო ჩხაიძე

როგორც უკვე ცნობილია, საქართველოს მაშველთა კორპუსის ყოფილი თავმჯდომარე, "მხედრიონის" ერთ-ერთი ლიდერი და ერთ დროს ქართულ სინამდვილეში საკმაოდ დიდი გავლენის მქონე გელაშვილი თელ-ავივის პოლიციამ 20 ივნისს მოტოციკლეტის მართვისას სიჩქარის გადაჭარბებისა და პოლიციის მითითებების დაუმორჩილებლობისთვის დააკავა. თუმცა, მოგვიანებით, მის მიერ გადაყრილ, გაზეთიდან ამოჭრილ ფოტოებს მიაგნეს, რომლებზეც თელ-ავივის ცნობილი კრიმინალები – ძმები ავრაჯილები იყვნენ აღბეჭდილნი. მათ ირგვლივ არსებულმა სიტუაციამ კი ისრაელის სამართალდამცველებს აფიქრებინა, რომ გიგა გელაშვილი ავრაჯილების მოსაკლავად დაიქირავეს და ჩაიყვანეს თელ-ავივში. ეს ეჭვი გაამძაფრა იმანაც, რომ, ჯერ ერთი - გელაშვილს ყალბი საბუთები აღმოაჩნდა, მეორეც – მან არ ისურვა იმის ახსნა, თუ როგორ მოხვდა ისრაელში.

ამჟამად გიგა გელაშვილს ბრალი უკვე წაუყენეს ისრაელში უკანონოდ შესვლისა და ცხოვრების, მოტოციკლეტის ქურდობის, დოკუმენტის გაყალბების, თვითმარქვიობის და პოლიციელისთვის მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლისათვის. ამასთან, მიუხედავად ძვირად ღირებული ადვოკატისა, სასამართლომ იგი პროცესის დასრულებამდე პატიმრობაში დატოვა, რადგანაც გამოძიება მიიჩნევს, რომ მოახერხებს მკვლელობის შეკვეთის შესახებ მტკიცებულებების მოპოვებას.

თავად გელაშვილის ახლობლები მიიჩნევენ, რომ მკვლელობის შეკვეთაზე ეჭვი, მხოლოდ და მხოლოდ, ისრაელში გახშირებული ტერაქტებისა და გელაშვილის წარსული ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციის გამო წარმოიშვა და იგი მალევე გაქარწყლდება.

გიგა გელაშვილის დაპატიმრების შესახებ ინფორმაცია საქართველოს სამართალდამცველ სტრუქტურებში "რუსთავი 2"-ის ეთერიდან შეიტყვეს. თუმცა, გუშინ უკვე გაკეთდა განცხადებები იმის თაობაზე, რომ ისრაელში საქართველოს დიპლომატიური კორპუსი ყოფილი მხედრიონელის საქმეში აქტიურად ჩაერთო. როგორც გუშინ საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კახა სიხარულიძემ განაცხადა, საქართველოს კონსული ისრაელში უკვე შეხვდა გელაშვილს და ვითარებაში გაერკვევა.

**"საქართველოს წარმომადგენლობა ისევე დაიცავს გელაშვილის ინტერესებს, როგორც ამას ნებისმიერი მოქალაქის შემთხვევაში გააკეთებდა",** - განაცხადა სიხარულიძემ.

კანონმდებლობა კი კრძალავს ნებისმიერი, სხვა ქვეყანაში დაკავებული მოქალაქის სამშობლოში ექსტრადირებას, თუ იგი ძებნილთა სიაში არ არის შეტანილი. გიგა გელაშვილს საქართველოში (პრეზიდენტის მიერ შეწყალების შემდეგ) დანაშაული არ ჩაუდენია, ყოველ შემთხვევაში, ქართველ სამართალდამცველებს იგი კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში არ შეუნიშნავთ.

საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების უფროსის პაატა მსხილაძის განმარტებით: **"დანაშაულის დადასტურების შემთხვევაში ისრაელის მთავრობას უფლება აქვს, რომ გიგა გელაშვილი გაასამართლოს და მხოლოდ ამის შემდეგ ექნება ქართულ მხარეს საშუალება, მსჯავრდებულის საქართველოში გადმოყვანის საკითხი დააყენოს, რათა მან სამშობლოში მოიხადოს სასჯელი".**

# სისხლის აღების წესი სამეგრელოშიც მკვიდრდება

თამარ კაციტაძე

ორი დღის წინ წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოში აბრალავას ოჯახში შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. დავით აბრალავა, მისი ძმა რობერტ ნაჭყებია და დავით ზურაბიანი, დაახლოებით, ღამის ორ საათზე ცხენებით დავით აბრალავას სახლში მივიდნენ. რამდენიმე წუთში ათამდე შეიარაღებული პირი აბრალავას სახლში შევარდა. ავტომატით მოკლეს ოჯახის უფროსი (სამი ტყვია აქვს მოხვედრილი), დავით ზურაბიანი და თენგიზ ნაჭყებია კი მძევლად აიყვანეს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, გამტაცებლებმა თავი წალენჯიხის რაიონის სოფელ სქურის ტყეს შეაფარეს.

მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეთა დასადგენად რეგიონის პოლიცია გამკაცრებულ რეჟიმზე იქნა გადაყვანილი, სამართალდამცველებმა თავდამსხმელების და გატაცებულების შესახებ დღემდე არაფერი იციან.

დღემდე არსებობს მხოლოდ ვერსიები, რომლებიც სამეგრელოში ორი კვირის წინ მომხდარ, მამუკა გვაზავას და ძმები ზარანდიების მკვლელობას უკავშირდება. აღნიშნული მკვლელობის მიზეზები კი, თავის მხრივ, ერთი წლის წინ იღებს სათავეს.

გასული წლის გაზაფხულზე წალენჯიხის რაიონში მამუკა გვაზავას დის ოჯახს ხუთი შეიარაღებული პირი თავს დაესხა და ფეხმძიმე დიასახლისი მოკლა. გამოძიების მასალებით, ხუთივე თავდამსხმელი – სამი ძმა ნაჭყებიები, ზურაბიანი და კუტალია მოკლულის მეუღლემ ხატიაშვილმა თავდასხმის ღამესვე მოკლა. თუმცა, იმავე პერიოდში ხალხში გავრცელდა ხმა, რომ ბოროტმოქმედები მეუღლემ კი არა, ძმამ – ბეჟან გვაზავამ მოკლა. სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორის მოადგილე მებრძოლი ჭკადუა არ გამორიცხავს, რომ მამუკა გვაზავაზე თავდასხმა სწორედ ერთი წლის წინ დახოცილი ძმების, ნაჭყებიების ახლობლების მხრიდან შურისძიების მიზნით მოხდა. თავდამსხმელებს ბეჟან გვაზავას მოკვლა უნდოდათ, მამუკა გვაზავა და ძმები ზარანდიები კი შემთხვევითი მსხვერპლნი გახდნენ.

გუშინწინდელი ინციდენტის მსხვერპლნი - აბრალავა, ნაჭყებია და ზურაბიანი სწორედ გვაზავას დის მკვლელობისთვის მოკლული თავდამსხმელების ძმები არიან.

აღნიშნული დანაშაულების ლოგიკიდან გამომდინარე, გუშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ აბრალავა-ნაჭყებიას ოჯახზე მომხდარი თავდასხმის და გატაცების ორგანიზატორი სწორედ ბეჟან გვაზავა უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოგვიანებით თავად "მთავარმა ეჭვმიტანილმა" თავდასხმასთან კავშირი კატეგორიულად უარყო.

როგორ გაგრძელდება და რა ვერსიას აირჩევს საბოლოოდ გამოძიება, წინასწარ ძნელი სათქმელია. სამეგრელოს სამართალდამცველები არ უარყოფენ, რომ მამუკა გვაზავას და ძმები ზარანდიების მკვლელობაზეც და გუშინდელ ფაქტთან დაკავშირებითაც მყარი ვერსიები გააჩნიათ, რომლებზეც გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით, არ საუბრობენ.

# ვალტერ შურღაია: „საჩინოში მომხდარი მკვლელობა ხელისუფლების მოწყობილია"

**"საჩინოში მომხდარ მკვლელობასთან არანაირი კავშირი არ აქვს ბეჟან გვაზავას. მან ამ ფაქტის შესახებ ტელევიზიით შეიტყო. მასმედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციებში შეინიშნებოდა ქვეტექსტი, თითქოს ეს მკვლელობა ბეჟან გვაზავას მოწყობილია შურისძიების მიზნით, რაც სინამდვილეს არ შეეფერება",** – ეს განცხადება გუშინ ეროვნული თანხმობის და სამართლიანობის აღდგენის კავშირმა საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

**"ბეჟან გვაზავა, თავისი ჯგუფით, სამეგრელოს ტყეში იმყოფება. ამ ბიჭებს შევარდნაძის რეჟიმი დევნის. ბეჟანს ცოტა ხნის წინათ ძმა მოუკლეს. ახლა მას შურისძიებას აბრალებენ. არადა, დარწმუნებული ვარ, საჩინოში მომხდარი მკვლელობა ხელისუფლების მიერ არის მოწყობილი,"** - აცხადებს ეროვნული თანხმობის და აღორძინების კავშირის წარმომადგენელი ვალტერ შურღაია.



*ვალტერ შურღაია ჟურნალისტებს ინფორმაციის გადამოწმებას სთხოვს.*

შურღაიას თქმით, მათი კავშირი პროტესტის ნიშნად არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, თუ ცესკო-ში ყველა პარტიას თავისი წარმომადგენელი არ ეყოლება. **"ჩვენი გამოსვლა ამ არჩევნებიდან ძვირად დაუჯდება შევარდნაძის რეჟიმს"**, - იმუქრება შურღაია.

ვალტერ შურღაიამ რამდენჯერმე სთხოვა ჟურნალისტებს, რომ გადაუმოწმებელ ინფორმაციებს ნუ გაავრცელებენ. **"ტყეში მყოფი ბიჭების ფსიქოლოგიური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. ისინი ყოველ დღე ხელისუფლებისგან ტყვიას ელიან. თქვენ, ჟურნალისტებს, უმორჩილესად გთხოვენ, რომ მათ მიმართ გამოთქმული ყოველი სიტყვა გადამოწმებული იყოს და სიმართლეს შეეფერებოდეს."**

*24 საათი*

# მორიგი მკვლელობა ზუგდიდში

გუშინ ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭაქვანში მორიგი თავდასხმა მოხდა. ავტომატით შეიარაღებული ხუთი პირი თავს დაესხა ნოდარ შენგელიას ოჯახს. როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის კრიმინალური პოლიციის უფროსმა სერგო ჩაჩიბაიამ "24 საათთან" საუბარში აღნიშნა, ბოროტმოქმედთაგან ოთხს ნიღაბი ეკეთა, ერთი კი უნიღბოდ იყო. თავდასხმის დროს სახლში მივიდა ნოდარ შენგელიას ვაჟი, 34 წლის კახა შენგელია, რომელიც მეზობელთან იყო. კახა შენგელიამ ყაჩაღებს წინააღმდეგობა გაუწია, რის გამოც მას ავტომატიდან ესროლეს. სროლის შემდეგ თავდამსხმელები გაიქცნენ. კახა შენგელია ზუგდიდის საავადმყოფოში რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა.

შენგელიების ოჯახზე თავდასხმის მიზეზები, ჯერჯერობით, უცნობია. ჩაჩიბაიას ინფორმაციით, ბოროტმოქმედებს შენგელიებისთვის ფული არ მოუთხოვიათ. სამეგრელოს სამართალდამცველები ამ ეტაპზე თავდასხმის შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას არ ავრცელებენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ გარკვეული ინფორმაცია უკვე გააჩნიათ და დანაშაული უახლოეს მომავალში გაიხსნება.

*24 საათი*

ორი სიტყვით

**თბილისი.** ცნობილი ქართველი მოკრივე, მსოფლიო ჩემპიონი და ევროპის ვიცე-ჩემპიონი პაატა გვასალია 26 ივნისს, კამჩატკაზე დააპატიმრეს. მას ბრალად ედება კაზინოს განგებ გადაწვა, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. **ექსპრესი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** 3 ივლისს, ზუგდიდში, სოხუმის ქუჩაზე, "სოფტექნიკის" ეზოში, ჟანგბადის დამუხტვის საამქროში ჟანგბადის ბალონის აფეთქებას 25 წლის ზაალ ბესაია შეეწირა. კიდევ ორი ადამიანი - 25 წლის თორნიკე გოგია და 49 წლის რადიონ კვარაცხელია - ჯანმრთელობის დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. **ექსპრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში ნეოლიბერალური პარტიის სათავო ოფისს, რომელიც რუსთაველის გამზირის №14-ში მდებარეობს, თავს მძარცველები დაესხნენ. წაღებულია „სონის" ფირმის ტელევიზორი, ფაქსის აპარატი, სამი ტელეფონი, პარტიის დოკუმენტები, ორი კომპიუტერიდან მოპარულია ვინჩესტერი, სადაც ინახებოდა პარტიის წესდება, პროგრამა, პარტიის ინფორმაცია და წერილები საზღვარგარეთიდან.

წინასწარი ინფორმაციით, ქურდებმა პარტიის ოფისში ფანჯრიდან შეაღწიეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ 77 წლის არონ ნანიკაშვილი საკუთარ სახლში, თბილისში, ავლევის ქ. №19-ში, ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა გაქურდეს და მოკლეს. არონ ნანიკაშვილი მარტოხელა იყო. მას ნათესავები ისრაელში ჰყავდა და თვითონაც აპირებდა იქ გამგზავრებას. წინასწარი მონაცემებით, ნანიკაშვილის ბინაში ფულს და ოქროულობას ეძებდნენ. მოხუცი თოკებით გაკოჭეს და აწამეს, რის შედეგად იგი გარდაიცვალა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გეგუთის საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შემოწმებული 300 მსჯავრდებულიდან ოთხს ტუბერკულოზი აღმოაჩნდა.

საქართველოს ციხეებსა და კოლონიებში 800-მდე პატიმარია ტუბერკულოზით დაავადებული, რომელთა მკურნალობაში იუსტიციის სამინისტროს აქტიურად ეხმარება წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** წერეთლის გამზირზე ავტომანქანა „ბმვ", რომელსაც დავით რურუა მართავდა, ჯერ 23 წლის გია ხმელიძეს შეეჯახა, ხოლო შემდეგ „მერსედესის" ტიპის მიკროავტობუსს, რომელსაც 38 წლის მამუკა სურმავა მართავდა.

მიღებული ტრავმების გამო რურუა საავადმყოფოში გარდაიცვალა, ხმელიძემ მიიღო სხეულის დაზიანება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მოსკოვში დაკავებული, ადამიანების გატაცებასა და მკვლელობაში ბრალდებული შოთა ჭიჭიაშვილის ექსტრადიციის უზრუნველსაყოფად რუს კოლეგებს მისი ბრალდების დამადასტურებელი ყველა საჭირო დოკუმენტი გაუგზავნა. რუსმა სამართალდამცველებმა გადაწყვეტილება ორ კვირაში უნდა მიიღონ.

საქართველოს გენპროკურატურაში ვარაუდობენ, რომ ჭიჭიაშვილის ექსტრადიციაში პრობლემები არ შეიქმნება, თუმცა, არაა გამორიცხული, ბრალდებულმა ექსტრადიციის დადგენილება სასამართლოში გაასაჩივროს და პროცესი დროში გაიწელოს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, 500 კილოვოლტიან გადამცემ ხაზზე "იმერეთი" მომხდარი ავარიიდან ხუთ საათში, ელექტროსისტემა მუშაობის ჩვეულ რეჟიმს დაუბრუნდა. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, გადამცემი ხაზი საღამოს რვა საათისთვის ჩაირთო და აღმოსავლეთ საქართველოს ელექტროენერგიის ჩვეულ რეჟიმში მიწოდება აღუდგა. ავარიის მიზეზები ჯერ კიდევ დაუდგენელია. ამ საკითხზე "საქრუსენერგოს" სპეციალისტები აგრძელებენ მუშაობას. ამ დროისათვის "ენგურჰესზე" სამი აგრეგატი მუშაობს, ჩართულია სხვა ჰიდროელექტროსადგურებიც. ანალოგიური ავარიული გამორთვა გუშინწინაც მოხდა, როცა "კავკასიონის" გადამცემი ხაზი დაზიანდა. ენერგეტიკოსებმა ავარიის მიზეზი, დღევანდელის მსგავსად, ვერც მაშინ დაადგინეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემებით, ივნისის თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას 21 მილიონი ლარი დააკლდა. აქედან 10,5 მილიონი ლარი ამ თვეში მიუღებელი გრანტების წილად მოდის, დარჩენილი 10,5 მილიონი საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლებისა და ფონდების მიუღებელი შემოსავლებია. მიუხედავად საბაჟო სამსახურის ორი დღის წინანდელი განცხადებისა ივნისის თვის გეგმის გადაჭარბებით შესრულების შესახებ, საბაჟომ ბიუჯეტს, საბიუჯეტო ოფისის მონაცემებით, 5,5 მილიონი ლარის შემოსავალი დააკლო. „შესაძლოა, აჭარამ გეგმა შეასრულა, მაგრამ მას ცენტრალურ ბიუჯეტში თანხები არ გადმოურიცხავს," — განაცხადა რომან გოცირიძემ. **მედია-ნიუსი**

## შეკითხვები „იუკოსისა“ და რუსეთის მომავალი პრეზიდენტის გარშემო

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

რუსი პარლამენტარები და პოლიტოლოგები არ მალავენ, რომ ცნობილი რუსი მილიარდერის, ნავთობის კამპანია "იუკოსის" გამგეობის თავმჯდომარის მიხეილ ხოდორკოვსკის გენერალურ პროკურატურაში გამოძახებითა და მისი დაკითხვით, "იუკოსის" ერთ-ერთი მსხვილი აქციონერის პლატონ ლებედევის დაპატიმრებით რუსეთში დაიწყო პოლიტიკური წმენდის პროცესი.

**ვინ დგას ბოლო დროს მოსკოვში მომხდარი ხმაურიანი დაპატიმრებებისა თუ დაკითხვების უკან? კრემლი თუ ის ძალები, ვინც რუსეთში პუტინის წინააღმდეგ სამხედრო გადატრიალებას გეგმავდნენ?**

ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემას გუშინ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციებზე შეეცადნენ ფრაქცია "იაბლოკოს" ლიდერები გრიგორი იავლინსკი და ვლადიმირ ლუკინი. ბატონებმა ლუკინმა და იავლინსკიმ ჟურნალისტები ოფიციალურად არდადეგებზე წასულ დუმაში მიიწვიეს. ვლადიმირ ლუკინს ეჭვიც არ ეპარება, რომ "იუკოსის" წინააღმდეგ კრემლის ადმინისტრაცია და კერძოდ მისი თავკაცი ალექსანდრ ვოლოშინი იბრძვის. **მონაწილეობს თუ არა ოლიგარქ-ტიტანთა ომში რუსეთის პრეზიდენტი?** ამ შეკითხვაზე ფრაქციის ლიდერი დუმილს ამჯობინებს. ამბობს, რომ პრეზიდენტი ეჭვებს მიღმაა.

ვლადიმირ ლუკინი დარწმუნებულია, რომ ამ შეკითხვაზე პასუხი ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გასცეს. ამასობაში რუსეთის სინამდვილეში ობლად დარჩენილი ერთადერთი თავისუფალი ორგანო - დამოუკიდებელი რადიოსადგური "ეხო მოსკვი" ატარებს მსმენელთა ინტერაქტიულ გამოკითხვას შემდეგ თემაზე: **"იუკოსში" მიმდინარე პროცესები პოლიტიკაა თუ მომხდარს ეკონომიკური საფუძველი აქვს**? გამოკითხულთა მხოლოდ 12 პროცენტი თვლის, რომ ფინანსურ დარღვევებთან გვაქვს საქმე. აბსოლუტური უმრავლესობა კი მიიჩნევს, რომ პირიქითაა. აი, რას ამბობს რუსეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერი პრესკონფერენციაზე: **ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რას ერჩოდა ხელისუფლება ამ ერთადერთ გამჭვირვალე ნავთობკომპანიას, რომელიც ღიად და გულწრფელად არის დასავლური ორიენტაციის მქონე კომპანია და გახსნილობის ასეთი კოეფიციენტი განაპირობებს მის ფინანსურ წარმატებებს. ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ უპირებს კრემლი მოხრჩობას კამპანიას, რომელიც სერიოზულად აპირებდა მომავალ საპარლამენტო არჩევნებში რუსეთის მემარჯვენე ძალთა და "იაბლოკოს" დაფინანსებას**.

ჟურნალისტები ინტერესდებიან, რატომ არ გამოთქვამს იგი პროტესტს იმის გამო, რომ მიხაილ ხოდორკოვსკი ასეთივე წარმატებით რუსეთის კომუნისტურ პარტიასაც აფინანსებს, ამაზე ლუკინი პასუხობს, რომ "მიხაილი ბიზნესმენია და არჩევნებიც სერიოზული ბიზნესია". "იაბლოკოს" მეორე წარმომადგენელი გრიგორი იავლინსკი მიიჩნევს, რომ "იუკოსი", როგორც რუსეთის ნავთობის ბაზარზე ყველაზე ცივილური სტრუქტურა, ბიზნესში სწორედ თავისი დასავლური ორიენტაციისათვის დაისაჯა და ოლიგარქთა შორის მიმდინარე ბრძოლას ემსხვერპლა.

*გრიგორი იავლინსკი:* **ჩვენ უკვე უნდა გვეშინოდეს იმ პროცესებისა, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება: გაურკვეველ ვითარებაში იღუპება ჩვენი კოლეგა და ჟურნალისტი იური შჩეკოჩიხინი, არჩევნების წინ ხელისუფლება ეწევა დასავლური ორიენტაციის მქონე, პატიოსანი პოლიტიკური პარტიების ფინანსური წყაროების ლიკვიდაციას. ხალხის ნებისა და ინტერესების აბსოლუტური იგნორირებით ხურავენ დამოუკიდებელ ტელეკომპანიებს. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში სერიოზული რეპრესიები დაიწყო?**

# კრემლისა და ოლიგარქების „თაფლობის თვე“ დასრულდა

პირველი გვერდიდან

ამ ამბავმა რუსეთში ძალიან დიდი შეშფოთება გამოიწვია. რუსი ოლიგარქები შიშობენ, რომ კრემლსა და უმდიდრეს ოლიგარქებს შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლა ხელახლა დაიწყო. ეს კი იმ უცხოელ ინვესტორებს დააფრთხობს, რომლებიც რუსეთს სტაბილურ ბაზრად მიიჩნევდნენ.

"ჩემთვის დასმულ შეკითხვებს კომპანიის სამეურნეო საქმიანობასთან კავშირი არ ჰქონია", - განაცხადა პროკურატურის შენობიდან გამოსულმა ხოდორკოვსკიმ. მისი თქმით, ყველა შეკითხვა იმ სფეროს შეეხებოდა, რომლის შესახებ პრესა დიდი ხანია წერს. "იურიდიული მოსაზრებების გამო ბევრს ვერაფერს გეტყვით", - დასძინა მან.

ხოდორკოვსკი და "იუკოსის" ყოფილი შეფი ლეონიდ ნევზლინი გენპროკურატურამ კომპანია "აპატიტში" სახელმწიფოს კუთვნილი 20 პროცენტის (რომლის ღირებულება 283 მილიონ დოლარს შეადგენდა) დატაცებისათვის დაიბარა.

კრემლმა ყოველგვარი კომენტარისაგან თავი შეიკავა. გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა "ინტერფაქსთან" საუბრისას აღნიშნა, რომ გამოძიებას "პოლიტიკური სარჩული არ უდევს". "რა პოლიტიკაზეა ლაპარაკი, როდესაც ხელისუფლებას რვა წლის განმავლობაში 300-მილიონიანი წილიდან კაპიკიც კი არ მიუღია?"

"იუკოსის" ხელმძღვანელობის პროკურატურაში გამოძახების შემდეგ საფონდო ბირჟებზე კომპანიის აქციის ფასები დაეცა და "იუკოსისა" და რუსეთის სიდიდით მეხუთე ნავთობკომპანიის - "სიბნეფტის" გაერთიანება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. თუმცა, ორივე მხარე აცხადებს, რომ წლის ბოლოს ორი კომპანიის შერწყმა დასრულდება. ამ ორი კომპანიის გაერთიანების შემდეგ რუსეთში - ყველაზე დიდი, ხოლო მსოფლიოში მეოთხე სანავთობო კომპანია შეიქმნება. თავად "სიბნეფტი" არანაკლებ სკანდალური ბიოგრაფიის მქონე რუს ოლიგარქს და ბრიტანული საფეხბურთო კლუბის - "ჩელსის" მეპატრონე ბორის აბრამოვიჩს ეკუთვნის.



მიხაილ ხოდორკოვსკი გენპროკურატურიდან გამოსვლისას.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ "იუკოსის" მიმართ კრემლის დაინტერესება დეკემბერში დაგეგმილი არჩევნების წინ გაიზარდა.

ხოდორკოვსკის კი თავისი პოლიტიკური ამბიციები არასოდეს დაუფარავს. რუსული გაზეთები უკვე დიდი ხანია იმაზე წერენ, რომ "იუკოსის" შეფი 2008 წელს დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ემზადება. ახლახან მან საჯაროდ განაცხადა, რომ იგი ლიბერალური შეხედულების მქონე იმ ორ პარტიას დააფინანსებს, რომელიც პუტინს მხარს არ დაუჭერს.

ხოდორკოვსკის ქონება 8 მილიარდ ამერიკულ დოლარად არის შეფასებული. ავტორიტეტული ჟურნალის "ფორბსის" მონაცემებით, იგი რუსეთის ყველაზე მდიდარი ადამიანია. დასავლელი ინვესტორებისათვის მისი კომპანია ძალზე მიმზიდველი იყო, რადგან, რუსული კომპანიების უმრავლესობისაგან განსხვავებით, გაცილებით გამჭვირვალე სტრუქტურა და საბუღალტრო ანგარიშები ჰქონდა.

ხოდორკოვსკის გამოძახებამდე პოლიციამ მისი უახლოესი მოკავშირე და კომპანიის სიდიდით მეორე აქციონერი პლატონ ლებედევი დააკავა. "იუკოსის" დაცვის თანამშრომელი ალექსი პიჩუგინი კი მკვლელობების ჩადენაში დაადანაშაულეს. "იუკოსი" ყველა ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს.

ამბობენ, რომ ლებედევმა, რომელსაც "გენიოს ფინანსისტს" უწოდებენ, ხოდორკოვსკის აღზევებაში მთავარი როლი შეასრულა.

"იუკოსის" წარმომადგენლის ჰუგო ერიკსენის ინფორმაციით, ლებედევი საავადმყოფოში გულზე მკურნალობდა, როდესაც მისი დაპატიმრების შესახებ ბრძანება გაიცა. ერიკსენის თქმით, პოლიციამ ლებედევს "თავის ადვოკატთან ცალკე დალაპარაკების უფლება არ მისცა, რითაც რუსეთში მოქმედი კანონები უხეშად დაარღვია".

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე ლებედევი ხოდორკოვსკისთან ერთად მუშაობდა. დაჭერამდე იგი ხოდორკოვსკის კომპანია "მენატეპს" ხელმძღვანელობდა, კონგლომერატს, რომელიც 30 მილიარდი ამერიკული დოლარის აქტივებს ფლობს. თავად ლებედევს, "ფორბსის" მონაცემებით, 1 მილიარდი ამერიკული დოლარის ქონება აქვს.

ხოდორკოვსკის მოკავშირეებისა და დამოუკიდებელი ანალიტიკოსების აზრით, პროკურატურის მიერ დაწყებული გამოძიება პოლიტიკურად მოტივირებულია. "იუნაიტედ ფაინენშლ გრუპის" ანალიტიკოსის სტივენ ო`სულივანის თქმით, "ხოდორკოვსკი "მისტერ რუსული ნავთობია". მის წინააღმდეგ წარმართული კამპანია კი ყველა ოლიგარქის გაფრთხილებას ისახავს მიზნად: "იცოდეთ თქვენი ადგილი!".

4 ივლისის აღსანიშნავად ამერიკის საელჩოს მიერ მოსკოვში გამართულ საზეიმო მიღებაზე ხოდორკოვსკიც გამოცხადდა. მიღებაზე მყოფ "ვაშინგტონ პოსტის" ჟურნალისტს მან განუცხადა, რომ "ამ ყოველივეს კანონებთან საერთო არაფერი აქვს. ვიმედოვნებ, რომ ქვეყნის ხელისუფლება მალე სათანადო დასკვნებს გამოიტანს".

რუსეთში მყოფი ფინანსისტები და პოლიტიკური მიმომხილველები ამბობენ, რომ იმ დონის ბიზნესმენის დაჭერა, როგორიც ლებედევია, წინასწარ პუტინთან ან მის მრჩევლებთან მაინც აუცილებლად იქნებოდა შეთანხმებული. პუტინის პრეზიდენტობის უფრო ადრეულ ეტაპზე კრემლმა ორი ძალზე გავლენიანი ოლიგარქის – ბორის ბერეზოვსკისა და ვლადიმირ გუსინკის საქმეების შესწავლა დაიწყო. საბოლოოდ, ორივე იძულებული გახდა თავიანთი ქონების ნაწილი გაეყიდა და საზღვარგარეთ გადახვეწილიყო.

ამ ამბების შემდეგ ბევრი ფიქრობდა, რომ პუტინმა ოლიგარქებთან გარკვეულ შეთანხმებას მიაღწია. ამ შეთანხმების თანახმად, ოლიგარქებს ქონება შეუნარჩუნდებოდათ, მაგრამ მათ პოლიტიკაში ჩარევისაგან თავი უნდა შეეკავებინათ.

"კრემლი შიშობს, რომ შესაძლოა, ხოდორკოვსკიმ, ბერეზოვსკის, ან გუსინკსის როლი შეასრულოს, - აღნიშნავს სერგეი მარკოვი - კრემლთან ახლო კავშირების მქონე ანალიტიკოსი, - ისინი ხოდორკოვსკის პოლიტიკური ამბიციებით შეშფოთებულები არიან და ამიტომ, შესაბამის სიგნალებს აგზავნიან, რათა ყველამ თამაშის არსებული წესები დაიცვას".

# იური შჩეკოჩიხინი: „ყველაზე მეტად ვწუხვარ, რომ ვლად ლისტევის მკვლელობა ვერ გავხსენი“

პირველი გვერდიდან

გარდაცვლილი პარლამენტარის თანაშემწე პრესას ეუბნება, რომ მას ბოლომდე დარჩა მისაყვანი ცნობილი ჟურნალისტის ვლად ლისტევის მკვლელობის დეტალების ჟურნალისტური ძიებაც.

მეგობრები 5 ივლისს მოსკოვის ცენტრალურ-კლინიკურ საავადმყოფოში მასთან გამოსათხოვრად მივლენ. მოსკოვში ასეთი წესია. არავითარი ხალხმრავალი პანაშვიდები გარდაცვლილის ოჯახში. წინასწარ შეიძლება იმისი თქმა, რომ ეს პროცესია საავადმყოფოში ისედაც ხალხმრავალი იქნება. ახლობლებსა და ნაცნობებთან ერთად, ძალიან ბევრი მოსკოველი ქართველი აპირებს საავადმყოფოში მისვლასა და შემდეგ მწერალთა ისტორიულ დასახლება პერედელკინოში გამგზავრებას. იმ ადამიანებს შორის, ვინც მოსკოვში დღეს საქართველოსა და ქართველებს თანაუგრძნობენ, პირველ რიგში იური შჩეკოჩიხინი იყო. ამისათვის და არა მხოლოდ ამისათვის იგი ხელისუფლებას არ მოსწონდა. ხელისუფლებას იურასნაირები არ უყვარს და არც შეიძლება უყვარდეს.

**იური როსტი**: მე ხშირად მიფიქრია, რატომ გვიყვარდა ასე შჩეკოჩიხინი? ალბათ იმიტომ, რომ მარტოსული იყო ან იმიტომ, რომ სიმართლის რაინდი? მერე რა, რომ მოსკოვის იუბილეზე ორდენი ჩამოკიდეს და "თავისუფალი რუსეთის დამცველის" ჯილდოც მისცეს. მაინც ვერ მოათვინიერეს. იგი მაინც არ იყო ხელისუფლებასთან გაშინაურებული. მისი უეცარი გარდაცვალება ბევრ შეკითხვას ბადებს. პირველი, რაც გონებაში მოდის, ესაა უსამართლობა, უმადურობა, განუკითხაობა. იყო და აღარ არის კაცი. ასე არ ხდება.


მწერალი და ჟურნალისტი იური შჩეკოჩიხინი.

**ჰენრიჰ ბოროვიკი**: შემაძრწუნებელია, როცა ასეთი ადამიანები საეჭვოდ და ტრაგიკულად იღუპებიან. არ ვიცი, რა ვთქვა. სულ რამდენიმე დღის წინ შევხვდი ერთ მწერლურ მიღებაზე. დაღლის, ალერგიის ან მძიმე ავადმყოფობის არაფერი ეტყობოდა. კი, იურა ყოველთვის სვამდა და ეს საქმე უყვარდა, მაგრამ ვის არ უყვარს? ვინ არ დადის ჩვენი დღეების შემხედვარე "გადაკრულ" მდგომარეობაში?

**ოლეგ ხლებნიკოვი**, "ნოვაია გაზეტას" მთავარი რედაქტორის მოადგილე: თავზარი დამეცა. ყირიმში ვისვენებდი. რედაქციას ერთი კვირით გავექეცი. ხვალ მოსკოვში მოვფრინავ, აეროპორტიდან პირდაპირ პერედელკინოში ჩავალ. ბოლო მორიგეობაზე იურა არაფერს უჩიოდა. სმით ჩვენ ყველა ვსვამთ. ეს არასერიოზული ვერსიაა. ამიტომ არ ვიცი, რას დავაბრალო. ასე ჩიტივით როგორ მოკვდა, ვერ გამიგია!

ერთია, როცა მეგობრის, მწერლისა და დეპუტატის, ცნობილი ჟურნალისტის გარდაცვალებაზე გულადწყვეტილი საუბრობენ ნაცნობები, მეორე, როცა ოფიციალური პირებიც კი სერიოზულ მინიშნებებს აკეთებენ ტრაგედიის პოლიტიკურ ან შეკვეთილ მიზეზებზე. რუსეთის პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსანდრ გუროვმა ერთ-ერთმა პირველმა გამოთქვა ვარაუდი შჩეკოჩიხინის განზრახ მკვლელობაზე. დეპუტატის მოწამვლის ვერსიას ემხრობა რუსეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვლადიმირ ლუკინიც. ამ პოზიციას იზიარებენ რუსეთის დუმის მემარჯვენეებიც. ყველა ობიექტურ გამოძიებას ითხოვს.

იურას მეგობრებს კი ასეთი "ფენომენისა" ყველაზე ნაკლებად სჯერათ. თავისი მაღალი პოსტიდან ვერც სიმართლის მაძიებელმა შჩეკოჩიხინმა მოახერხა მოკლული მეგობრის ვლად ლისტევის საქმის ბოლომდე მიყვანა.

იმედი არვის დარჩა. ყველა მწარედ იღიმება. "ნოვაია გაზეტას" რედაქციის უხმო გარემოში სიგარეტს სიგარეტზე ეწევიან. აშკარად სახეზეა ჩვეულებრივი, ადამიანური შიში და გაურკვევლობით გამოწვეული საოცარი ვარაუდები. იურას კოლეგებს წინ უდევთ ერთი რუსული გაზეთი, სადაც გაფართოებული თვალებით კითხულობენ ცნობას იმის შესახებ, თუ ექიმების თვალწინ როგორ თვალსა და ხელს შუა უსკდებოდა კანი რეანიმაციაში უგონოდ მყოფ შჩეკოჩიხინს, სპეციალური ბაქტეროციდული განათების ქვეშ მწოლარეს და ექიმები ვერაფერს შველოდნენ.

სამართლიანი გამოძიების იმედდაკარგული მეგობრები პერედელკინოში მიემგზავრებიან. მათ ამას მაინც ვერავინ დაუშლის.

# სადამზე ფულადი ჯილდოს გამოცხადებას დიქტატორი ტელეეთერში გამოსვლით პასუხობს




ლევან ღირსიაშვილი

*ერაყში დისლოცირებული აშშ-ის შეიარაღებული ძალებისათვის არც პარასკევის ღამე ყოფილა მშვიდი. ცენტრალური სარდლობის ცნობით, ამერიკელ ჯარისკაცებზე თავდასხმა სამჯერ განხორციელდა. ერაყელთა წინააღმდეგობა და დაუმორჩილებლობა, დღითი დღე, ორგანიზებულ და მწვავე ხასიათს იძენს. ბაღდადის ქუჩებში უკვე ერაყელი სნაიპერებიც გამოჩნდნენ.*

გუშინ, დილიდანვე, ყველა საერთაშორისო სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია ამერიკელი ჯარისკაცის მოკვლის თაობაზე, რომელიც ერაყის დედაქალაქში სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა. იმავე ღამეს, ბაღდადიდან ჩრდილოეთით, ერაყელმა პარტიზანებმა ნაღმტყორცნების გამოყენებით ქალაქ ბალადასთან განლაგებულ ამერიკულ სამხედრო ბაზაზე მიიტანეს იერიში, რის შედეგადაც ცხრამეტი ამერიკელი სამხედრო დაიჭრა. ცენტრალური სარდლობის ცნობით, ეს მხოლოდ წინასწარი მონაცემებია და დაჭრილთა ზუსტი ციფრი მოგვიანებით დაზუსტდება.

გუშინ, დილითვე, ისევ ერაყის დედაქალაქში, ერაყელებმა ამერიკული ჯავშანტრანსპორტიორი ააფეთქეს, რის შედეგადაც მძიმე ჭრილობები მიიღო ორმა ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურემ.

ერაყელმა პარტიზანებმა სამივე თავდასხმა აშშ-ის დამოუკიდებლობის დღეს – 4 ივლისს დაამთხვიეს. წინა დღეს კი, როგორც ცნობილია, ვაშინგტონმა ყოფილი ერაყელი დიქტატორის და მისი შვილების ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციისათვის საკმაოდ მაღალი ფულადი ჯილდოები დააწესა. კერძოდ, თეთრმა სახლმა ჰუსეინის თავი 25 მილიონ აშშ დოლარად შეაფასა; რაც შეეხება უდაი და ქუსაი ჰუსეინებს – მათი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციისათვის ამერიკელები 15-15 მილიონ აშშ დოლარს გადაიხდიან. სიანტერესოა, რომ ვაშინგტონი ანალოგიურ თანხებს იმ შემთხვევაშიც კი გადაიხდის, თუკი ვინმე ჰუსეინების სიკვდილის შესახებ დადასტურებულ ინფორმაციას წარადგენს.

**"შესაძლოა, ისინი ცოცხლებიც იყვნენ და მკვდრებიც, მაგრამ ჩვენ, ჯერჯერობით, ეს ზუსტად არ ვიცით,"** - განაცხადა ერაყში აშშ-ის დროებითი ადმინისტრაციის შეფმა პოლ ბრემერმა.

როგორც ცნობილია, სადამის შესაძლო სიკვდილის შესახებ ინფორმაცია არაერთხელ გავრცელდა.

სულ პირველად, ამერიკელები მის დაღუპვას ჯერ კიდევ ომის დასრულებამდე ვარაუდობდნენ, როდესაც 8 აპრილს ბაღდადის ცენტრში არსებული ერაყელი დიქტატორის შესაძლო ადგილსამყოფელი მასირებულად დაიბომბა. მაშინ შენობა მთლიანად განადგურდა და ამერიკელმა სამხედროებმა ნანგრევები საგულდაგულოდ შეამოწმეს, მაგრამ მკვდარი სადამი ვერსად აღმოაჩინეს.

ამის შემდეგ ამერიკულმა ავიაციამ ბაღდადის სიახლოვეს წერტილოვანი საჰაერო დარტყმა მიიტანა ავტომანქანების კოლონაზე. სადაზვერვო ინფორმაციის თანახმად, ერაყის დამხობილი პრეზიდენტი კოლონაში იმყოფებოდა. აშშ-ის დაზვერვა ამჯერადაც შეცდა.

მესამედ, ისევ ავტომანქანების კოლონაზე მიიტანეს იერიში, ოღონდ ამჯერად - სირიის საზღვრის სიახლოვეს. ეს კოლონაც მთლიანად იქნა განადგურებული, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. ერაყის დამხობილი დიქტატორი არც იქ აღმოჩნდა.

სადამ ჰუსეინმა გუშინვე გასცა პასუხი მისი მოკვლისათვის 25-მილიონიანი ჯილდოს დაწესებას. კერძოდ, გუშინ ყატარის არაბულენოვანმა ტელეკომპანია "ალ-ჯაზირამ" ერაყის ყოფილი პრეზიდენტის გამოსვლის ვიდეოჩანაწერი გადასცა. როგორც ცნობილი გახდა, სადამ ჰუსეინის მიმართვა ერაყელი ხალხისადმი 14 ივნისს არის ჩაწერილი. ის აცხადებს, რომ ცოცხალი და უვნებელია და განაგრძობს ბრძოლას ერაყის თავისუფლებისათვის. **"ძალიან მენატრებით, თუმცა თქვენ შორის ვიმყოფები,"** - მიმართა ჰუსეინმა თანამემამულეებს. ამავე დროს მან განაცხადა, რომ ერაყის მთელ ტერიტორიაზე შექმნილია და მოქმედებს ჯიჰადის უჯრედები, რომელთა მიზანსაც ქვეყნიდან ამერიკელთა გაძევება წარმოადგენს.

სადამზე ნადირობის პარალელურად, აშკარად შეუქცევადი ხდება ერაყელთა დაუმორჩილებლობა და წინააღმდეგობა. უკვე ცხადია, რომ ამ თავდასხმების უკან სადამ ჰუსეინი დგას. სწორედ ამიტომ ამერიკელებმა, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ერაყელი დიქტატორი ცოცხალი ან მკვდარი უნდა ჩაიგდონ ხელში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერაყში დაწყებული პარტიზანული მოძრაობა ვაშინგტონს 25 მილიონ ამერიკულ დოლარზე გაცილებით ძვირი დაუჯდება.



ჩოგბურთი

## ფილიპუსისი ფედერერის წინააღმდეგ



როჯე ფედერერი

REUTERS



მარკ ფილიპუსისი

უიმბლდონი. ინგლისი. „დიდი სლემის" ტურნირი. ბალახი. შარშანდელი ჩემპიონები: ვაჟები - ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია), ქალები - სერენა უილიამსი (აშშ). ნახევარფინალი.

**ვაჟები:**

**მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია)** - სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი, 13) 7:6 (7:3), 6:3, 6:3

**როჯე ფედერერი (შვეიცარია, 4)** - ენდი როდიკი (აშშ, 5) 7:6 (8:6), 6:3, 6:3

უიმბლდონს ახალი ჩემპიონი ეყოლება. ავსტრალიელი მარკ ფილიპუსისიც და შვეიცარიელი როჟე ფედერერიც პირველად გავიდნენ უიმბლდონის ტურნირის ფინალში. ვაჟთა თანრიგში ავსტრალიელებს უიმბლდონი 21-ჯერ აქვთ მოგებული. უკანასკნელ წარმატებას მწვანე კონტინენტის ბინადრებმა მიაღწიეს შარშან, როცა ლეიტონ ჰიუიტის ტრიუმფი აღინიშნა. შვეიცარიელებს არასდროს ჰქონიათ უიმბლდონზე გამარჯვების პატივი, ამიტომ როჟე ფედერერს იმედი აქვს, რომ თავისი ქვეყნის ისტორიაში დაიმკვიდრებს ადგილს, როგორც ადამიანი, რომელმაც პირველად მოიგო უიმბლდონის ტურნირი.

„ვგრძნობ, ჩემზე ბევრია დამოკიდებული. გულშემატკივრები იმედის თვალით შემომცქერიან და მეც ძალიან მინდა, ამდენი შრომა ლოგიკურ დასასრულამდე მივიყვანო – ბოლოს და ბოლოს, უიმბლდონის ტურნირი მოვიგო. მარკ ფილიპუსისი ძალიან ძლიერი ჩოგბურთელია, მაგრამ, ვგრძნობ, გამარჯვება შემიძლია", - ამბობს როჟე ფედერერი, რომელიც, მართლაც, შესანიშნავ ფორმაშია. მან სამ სეტში უპრობლემოდ დაამარცხა ენდი როდიკი, რაც იმას ნიშნავს, რომ შვეიცარიელს სერიოზული ამბიცია აქვს.

საერთოდ, ნახევარფინალი ინტერნაციონალური გამოდგა. ერთმანეთს გაეჯიბრნენ ავსტრალიელი, შვეიცარიელი, ფრანგი და ამერიკელი ჩოგბურთელები. საოცარია, მაგრამ ორივე ნახევარფინალური მატჩი სამ სეტში დასრულდა. შვეიცარიელმა ამერიკელი დაამარცხა, ავსტრალიელმა კი – ფრანგი.

თუ ფედერერი ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნეოდა, ფილიპუსისზე შეიძლება ითქვას, რომ საკუთარ თავს გადაახტა. აქამდე მისი ყველაზე დიდი მიღწევა უიმბლდონის ნახევარფინალი იყო. ამ ეტაპს მან 1996 წელს მიაღწია. მას შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში, ტრავმა აწუხებდა, ოპერაციაც კი გადაიტანა, ამიტომ ტურნირის დაწყების წინ ვერავინ იფიქრებდა, რომ ეისების ოსტატი უიმბლდონის ფინალს მიაღწევდა.

თუმცა, ისე მოხდა, რომ ფილიპუსისმა მერვედფინალში ანდრე აგასის სძლია და, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, აქედან დაიწყო მისი აღმასვლა. მძლავრი მოწოდებებით ეისების ოსტატი ყველა მეტოქის წინააღმდეგ სოლიდურ ფორას ფლობდა და გამარჯვების მოპოვებაც აღარ უჭირდა. საბოლოოდ, ფილიპუსისმა 6 მატჩში 164 ეისი მიითვალა და ამ მაჩვენებლით სათავეში უდგას ჩოგბურთელთა რეიტინგს. ამჯერად კი ავსტრალიელს შანსი აქვს, ტურნირის საუკეთესო მოთამაშეც გახდეს.

TV-სპორტი

### შაბათი. 5 ივლისი

НТВ + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" - "ჩელსი"
15:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
16:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "ბარსელონა" - "ფიორენტინა"
17:45 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "შალკე" - "შტუტგარტი"
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "ბარსელონა" – "ესპანიოლი"
21:35 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "ლაციო" - "დინამო" (უკრაინა)
23:20 "FUTBOL MUNDIAL"
23:55 ბრაზილიის ჩემპიონატი. "გრემიო" - "ფლამენგო". პირდაპირი ტრანსლაცია

НТВ + СПОРТ
11:00, 14:15, 17:40, 21:00 პრეს-ცენტრი
11:15, 21:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ვაჟები. ნახევარფინალები
14:30 მძლეოსნობა. IAAF Golden League "Gas de France" პარიზში
17:55 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ქალები. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 "სპორტული გლობუსი"
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 "დიდი რინგი"
23:30 WNBA საკალათბურთო მიმოხილვა
00:00 სპორტული ცეკვები. საერთაშორისო ტურნირი. "სლავების ღია თასი"
01:00 ახალი ამბები
01:15 "სპორტული გლობუსი"
01:45 "ჩქაროსნული სამყარო"

EUROSPORT
11:30 მოტორბოლა. TT რბოლები
13:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური ნორვეგიაში
15:00 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი
16:45 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური ნორვეგიაში
17:45 მოტორბოლა
19:15 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
22:30 მოტორბოლა
23:00 K 1. მსოფლიო გრან-პრი აშშ
01:00 მულტისპორტი
01:30 ექსტრემალური სპორტი
02:30 ახალი ამბები
02:45 ფორმულა 3000. საერთაშორისო ჩემპიონატი საფრანგეთში
03:45 ახალი ამბები
04:00 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)

TOUR DE FRANCE

## დიდი მარყუჟი საუკუნის ხნისაა




| ეტაპი | ივლისი | კმ |
|---|---|---|
| P | 5 | 6.5 |
| 1 | 6 | 168 |
| 2 | 7 | 204.5 |
| 3 | 8 | 167.5 |
| 4 | 9 | 69 |
| 5 | 10 | 196.5 |
| 6 | 11 | 230 |
| 7 | 12 | 230.5 |
| 8 | 13 | 219 |
| 9 | 14 | 184.5 |
| 10 | 15 | 220.5 |
| 11 | 17 | 153.5 |
| 12 | 18 | 47 |
| 13 | 19 | 197.5 |
| 14 | 20 | 191.5 |
| 15 | 21 | 159.5 |
| 16 | 23 | 197.5 |
| 17 | 24 | 181 |
| 18 | 25 | 203.5 |
| 19 | 26 | 49 |
| 20 | 27 | 152 |
| სულ: | | 3,428.5 |

ირაკლი ბერიაშვილი

ათობით სპორტის სახეობა არსებობს, ათასობით შეჯიბრება. ამას ორი ან სამი თუ შეედრება – ოლიმპიური თამაშები, მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში და უიმბლდონი. ყველა დანარჩენი ტყუილია ტურ დე ფრანსთან.

დიდი მარყუჟი დღეს საფრანგეთის დედაქალაქში, ეიფელის კოშკთან აიღებს სტარტს და 27 ივლისს პარიზშივე, ელისეს მინდვრებზე ექნება ფინიში.

ოცდაორი საუკეთესო გუნდი - ორასი საუკეთესო მრბოლი დაადგება 3500-კილომეტრიან გზას. ალპებისა და პირენეების გავლით შემოხაზავს საფრანგეთის პერიმეტრს. ამიტომაც ეძახიან წრეს, ანუ ტურს, მსგავსად იტალიური და ესპანური წრეებისა, ანუ იტალიური ჯიროსი და ესპანური ვუელტასი.

100 წლის წინათ, 1903 წელს გაიმართა პირველი ტური. იმათ სახელებს, ვინც კი ერთხელ მაინც გაიმარჯვა ამ ურთულეს და უპრესტიჟულეს შეჯიბრებაში, მოწიწებით წარმოთქვამენ სპორტის მოყვარულები. ლეგენდად ქცეული სახელები ფაუსტო კოპი, ჯინო ბარტალი, ჟაკ ანკეტილი, ედი მერქსი, ბერნარ ინო, მიგელ ინდურაინი და ბოლო ათწლეულის გმირები ბიარნე რიისი, იან ულრიხი, მარკო პანტანი, ლანს არმსტრონგი...

ყველაზე მთავარ, საერთო ჩათვლაში გამარჯვებული სპორტსმენი 350 000 ევროსთან ერთად დიდების დარბაზში მოხვედრის უფლებასაც მოიპოვებს. ეს კი ყველანაირ ევროებსა და დოლარებზე მეტს ნიშნავს. ტურ დე ფრანსის ჩემპიონს, ისევე როგორც ოლიმპიურ ჩემპიონებს, წინ არასოდეს უმატებენ სიტყვა "ექსს". ისინი სიცოცხლის ბოლომდე და მერეც ჩემპიონებად რჩებიან.

რა თქმა უნდა, ამ ოცდაორი გუნდიდან ბევრს არ ჰყავს ისეთი ჯილა, საპრიზო ადგილებისთვის რომ იბრძოლოს. სპეციალისტთა ყურადღების არეალში დაახლოებით რვა გუნდია - "ბიანკი", "CSC", "ფასა ბარტოლო", "ბანესტო", "ონსე", "საეკო", "ტელეკომი" და "US პოსტალი". ჩემპიონობისთვის კი მხოლოდ ხუთი მათგანი თუ გაიქაჩება: იან ულრიხის "ბიანკი", ფრანსისკო მანსებოსა და ხუან მერკადოს "ბანესტო", ხოსება ბელოკის "ონსე", ჯილბერტო სიმონისა და დანილო დი ლუკას "საეკო" და, რაღა თქმა უნდა, ლანს არმსტრონგის "US პოსტალი". გაქაჩვით კი გაიქაჩებიან, მაგრამ თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ამერიკელმა ხუთამდე უნდა შეათავოს ტურში გამარჯვებათა რაოდენობა, რითაც ფორმალურად დიდ ოთხეულს - ანკეტილს, მერქსს, ინოსა და ინდურაინს შეუერთდება. თუმცაღა, ახლავე ნათელია, რომ ლანს არმსტრონგი ამ ოთხეულიდან ვერც ერთის ადგილს ვერ დაიკავებს. საქმე ის არის, რომ სეზონის მანძილზე, ტურის გარდა, მისი ორი ტყუპისცალი - ჯირო და ვუელტაც ტარდება. სამივე მრავალდღიანი დაახლოებით ერთნაირი სიგრძისაა და ერთნაირი მთიანი ეტაპებითაა დახუნძლული. ასე რომ, სირთულის თვალსაზრისით რომელიმე მათგანის უპირატესობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ეს არის, ტური უფრო ხნიერია, ვიდრე ვუელტა. ახლა იმის თაობაზე, თუ რატომ ვერ დაიკავებს ლანს არმსტრონგი (რა თქმა უნდა, ჯერჯერობით) ვერც ერთის ადგილს და, ტურ დე ფრანსში გამარჯვებების ერთნაირი რაოდენობის მიუხედავად, როგორღაც მაინც იმ ოთხეულის ჩრდილში იქნება. ჟაკ ანკეტილმა, ტურის ხუთჯერ მოგების გარდა, ორჯერ გაიმარჯვა ჯიროში და ერთხელ ვუელტაშიც. ამასთან, ერთ სეზონში, ესე იგი, ზედიზედ აქვს მოგებული ჯირო და ტური, ტური და ვუელტა. მიგელ ინდურაინს ხუთი ტურის გარდა, ერთსა და იმავე სეზონში, ზედ ორი ჯიროც აქვს დამატებული. ბერნარ ინომ ტურში ხუთ გამარჯვებასთან ერთად, სამი ჯირო და ორი ვუელტაც გაახერხა. რაც შეეხება კაციჭამიად წოდებულ ედი მერქსს, აქ ყველამ თავი უნდა დახაროს მის წინაშე. ბელგიელმა, სხვა უამრავ "წვრილ" შეჯიბრებასთან ერთად, ხუთჯერ მოიგო ტურ დე ფრანსი, ხუთჯერ - ჯირო და ერთხელ - ვუელტა. ამასთან, სამ სეზონში, 1970, 1972 და 1974 წლებში, ტყუპად - ჯირო და ტური.

ეს, რაც შეეხება ლეგენდებსა და დიდების დარბაზს. ახლა კი იმათ შესახებ, ვისაც, პრაქტიკულად თუ არა, თეორიულად მაინც შესწევს ძალა, ღირსეული მეტოქეობა გაუწიოს ლანს არმსტრონგს.

უწინარეს ყოვლისა, გერმანელი იან ულრიხი და ესპანელი ხოსება ბელოკი.

ულრიხი ყველა პარამეტრით მთელი თავით მაღლა დგას მის ყველა თანამედროვე მრბოლზე. 23 წლისა მეორე იყო ტურში. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მაშინ ის გრეგარად, ესე იგი, გუნდის ლიდერის დამხმარედ მუშაობდა, - რაც, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ ყველანაირ შავ სამუშაოს ასრულებდა, - მეორე ადგილი ჩემპიონობაზე არაფრით ნაკლები არ არის. მომდევნო წელს ულრიხი ისევ თანაგუნდელის, წინა წლის ჩემპიონის ბიარნე რიისის დამხმარედ იყო განწესებული. მაგრამ მოხდა ისე, რომ ერთ-ერთ პირველ მთის ეტაპზე ჩემპიონს გაუჭირდა და გუნდის ხელმძღვანელობამ ულრიხს უბრძანა, ინიციატივა საკუთარ თავზე აეღო. ეს, ფაქტობრივად, რიისის გაწირვას ნიშნავდა, მაგრამ "ტელეკომის" სპორტულმა დირექტორმა გუნდის ინტერესები გაცილებით მაღლა დააყენა. 24 წლის ბიჭმა (მრავალდღიანებში ამ ასაკს, სხვათა შორის, სიტყვა "ბიჭუნა" უფრო მოუხდება) ჩემპიონის რანგში დაასრულა ის ტური. მერე იყო ვუელტასა და ოლიმპიური ჩემპიონობაც, მაგრამ, სამწუხაროდ, იყო ტრავმებიც. ხასიათიც ისეთივე ბიჭური შერჩა ამ ნიჭიერ სპორტსმენს – როგორღაც აგდებული დამოკიდებულება საკუთარი კარიერის მიმართ. ასე რომ, არ გამართლდა ბერნარ ინოს წინასწარმეტყველება: იან ულრიხი - ეს სახელი სულ თავში იქნება და, თანაც, დიდი ხნითო. ველოსპორტის მოყვარულს, ალბათ, ახსოვს კიდეც წინა სეზონის ამბები. უშუალოდ ტურის წინ მიღებული ტრავმა, ყოვლად გაუგებარი ტესტი ნახევარწლიანი იძულებითი დასვენებისთვის განწირული სპორტსმენისთვის, თვითონ ულრიხის უგუნური საქციელი - კაცმა არ იცის, რა დალია ან რა შეჭამა დაბოლმილმა - და ასევე გაუგებარი დისკვალიფიკაცია მრბოლისთვის, რომელიც არც იმ მომენტში გამოდიოდა შეჯიბრებაში და ტრავმის გამო კარგა ხანსაც ვერ შეძლებდა. თუმცა, რაც იყო, იყო. ექვსთვიანი დისკვალიფიკაციის ვადა ამოიწურა, თავისიანებზე გულნატკენმა ულრიხმა კი "ტელეკომი" მიატოვა და "ბიანკიში" გადაბარგდა. გერმანელის შანსებზე ლაპარაკი მხოლოდ მის ტალანტზე დაყრდნობით თუ არის შესაძლებელი. რაც შეეხება სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან მომენტებს, აქ სრული ბურუსია. ხეირიანად მოშუშდა თუ არა ტრავმა, სწორად და სერიოზულად ვარჯიშობდა თუ არა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მზად არის თუ არა და ასე შემდეგ...

ულრიხისგან განსხვავებით, საოცრად მშვიდ გარემოში უხდებოდა მზადება ესპანელ ხოსება ბელოკის. ბოლო წლებში თუ ვინმემ ოდნავ მაინც შეაწუხა არმსტრონგი, ეს ბელოკია. საოცრად მტკიცე ნებისყოფის სპორტსმენისთვის ეს უთუოდ არის საიმისო გარანტია, რომ შედეგი კარგი იქნება, მაგრამ გამარჯვებისთვის მხოლოდ კარგი შედეგი საკმარისი არ არის. თუ რით გამდიდრდა წინა წლების ბელოკი და იქნება თუ არა ეს საკმარისი არმსტრონგთან საბრძოლველად, ამას პირველივე მთიანი ეტაპები დაგვანახებს.

ტურ დე ფრანსი არასოდეს მოუგია უცნობ სპორტსმენს და, ალბათ, ვერც ვერასდროს მოიგებს. ტურ დე ფრანსს უნდა შეეჩვიო, ტურ დე ფრანსში უნდა ისწავლო, აუცილებლად უნდა გაიარო რაღაც საფეხურები და მხოლოდ ამის შემდეგ, თუ, რა თქმა უნდა, ნიჭიც გიწყობს ხელს, შეიძლება ფიქრი ამ საოცარი და საოცნებო მწვერვალის დაპყრობაზე.

სანტიაგო ბოტერომ, ტაილერ ჰამილტონმა, ვუელტას შარშანდელმა ჩემპიონმა აიტორ გონსალესმა და ჯიროს წლევანდელმა გამარჯვებულმა ჯილბერტო სიმონიმ ეს გზა უკვე გაიარეს. საფიქრებელია, რომ სადღაც ახლოს დგანან ფრანსისკო მანსებო, ხუან მერკადო და დანიელ დი ლუკა. თუმცა, ერთი კია - ტურ დე ფრანსს ბიჭები ვერ იგებენ, ტურ დე ფრანსი კაცების ასპარეზია. დაკაცებას კი, სხვა უამრავი რაღაცის გარდა, დროც სჭირდება.



დღეიდან პელოტონი საფრანგეთის გზებს გაუყვება.

ინფოთეკა

### რა უნდა ბექჰემს მოსკოვში

ЦСКА www.peski.ru-ს გულშემატკივართა საიტს თუ დავეყრდნობით, პარასკევს, ღამის 3 საათზე, მოსკოვის აეროპორტში კერძო თვითმფრინავით დაეშვა რომან აბრამოვიჩი, რომელიც რამდენიმე დღის წინ ლონდონის "ჩელსის" აქციათა საკონტროლო პაკეტს დაეუფლა, ვინმე ევგენი გინერი და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი დევიდ ბექჰემი. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა მიზნით ეწვივნენ მოსკოვს ჩუკოტკის გუბერნატორი აბრამოვიჩი და აწ უკვე "რეალის" ნახევარმცველი ბექჰემი.

გარდა ამისა, ინგლისური "Sun"-ის ცნობით, აბრამოვიჩმა გამოთქვა სურვილი, 35 მილიონ გირვანქა სტერლინგად "მილანის" მცველი ალესანდრო ნესტა იყიდოს. გაზეთის გუშინდელ ნომერში ვიტყობინებოდით, რომ რუსმა ბიზნესმენმა სატრანსფერო საქმიანობისთვის 30 მილიონი ფუნტი გამოყო. თუმცა, ფაქტია, რომ ეს ციფრები ბევრად განსხვავდება ერთმანეთისგან. ეგეც არ იყოს, აბრამოვიჩს "ბარსელონასგან" პატრიკ კლუივერტის ყიდვაც სურს. მეტიც, მიზანში ჰყოლია ამოღებული იუვენტუსელი ედგარ დავიდსი, ვესტჰემელი ჯო კოული და ჰარი კიუელი "ლიდსიდან".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ხუთშაბათს "კიევის" გენერალურმა მენეჯერმა ჯოვანი სარტორიმ კლუბსა და ლუკა მარკეჯანის შორის დადებული კონტრაქტი გაახმოვანა. "ლაციოს" მეკარე ვერონაში თავისუფალი აგენტის უფლებით მოხვდა და "კიევოში" გატარებული ორი სეზონის შემდეგ "რომაში" დაბრუნებულ კრისტიანო ლუპატელის შეცვლის.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** კამერუნელი ფეხბურთელის მარკ ვივენ ფოეს სიკვდილის მიზეზს საზოგადოება ორშაბათამდე ვერ შეიტყობს. ამის შესახებ განცხადება გააკეთა ლიონის პროკურატურის წარმომადგენელმა. "ორშაბათს ყველაფერი ცნობილი გახდება. გამოკვლევები ჟენევაში გავგზავნეთ. ხვალ პასუხს მივიღებთ და სათანადო დასკვნებსაც გავაკეთებთ", - ნაქვამია პროკურატურის განცხადებაში.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ბარსელონა" პატრიკ კლუივერტს არ გადაუხდის 4,6 მილიონ ევროს პრემიის სახით, თუ თავდამსხმელი კლუბს დატოვებს. კლუივერტსა და კლუბს შორის გაფორმებულ კონტრაქტში ყოფილა პუნქტი, რომელიც კლუბს ათავისუფლებს ფეხბურთელისთვის პრემიის გადახდისაგან, თუ ის საკონტრაქტო ვადაზე ადრე მოისურვებს გუნდიდან წასვლას.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რუსეთის "ტორპედო-მეტალურგი" ათი ფეხბურთელის ტრანსფერზე დაყენებას აპირებს. კლუბის ხელმძღვანელობას ჯერ არ განუცხადებია ყველა ფეხბურთელის გვარი. იმათ შორის კი, ვისი ტრანსფერზე დაყენებაც გადაწყვეტილია, რეხვიაშვილი ნახსენები არ არის. "ის ჯერჯერობით აკმაყოფილებს მწვრთნელის მოთხოვნებს. თუ ეს ასე არ იქნა, მაშინ ტრანსფერი მასაც შეეხება", - ნათქვამია კლუბის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ჰოლანდიელი იოს ვერსტაპენის გამარჯვებით დასრულდა საფრანგეთის გრანპრის პირველი კვალიფიკაცია. თუმცა, მარტო ჰოლანდიელი პილოტის გამარჯვება როდი იყო გუშინდელი დღის ერთადერთი სენსაცია. მეორე ადგილზე ასევე "მინარდის" წარმომადგენელი უილსონი გავიდა, მესამეზე - ფირმანი "ჯორდანიდან". რაც შეეხება ჩემპიონატის ლიდერებს, მიხაელ შუმახერი და კიმი რაიკონენი ათეულშიც ვერ მოხვდნენ. როგორც გაირკვა, ამის მიზეზი ამინდი ყოფილა. კვალიფიკაციამდე რამდენიმე ხნით ადრე ძლიერ გაწვიმდა. სველ ასფალტზე კი ყველაზე მეტად გაუჭირდათ მათ, ვინც პირველად გავიდა ტრასაზე. მოგვიანებით გამონათებულმა მზემ კი ტრასა გააშრო და ჩემპიონატის აუტსაიდერებს კვალიფიკაციის მოგების საშუალება მისცა.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** პრაღაში გუშინ დასრულებულ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხდომაზე კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება საოცარი სისწრაფით მიმდინარეობს. "დარწმუნებული ვარ, საორგანიზაციო კომიტეტი თამაშებს უმაღლეს დონეზე ჩაატარებს", - აღნიშნა პრეზიდენტმა.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლად ვანკუვერის გამოცხადებიდან მეორე დღეს კანადელებმა ქალაქის მომზადებისთვის საჭირო თანხების დათვლა დაიწყეს. როგორც ამბობენ, საოლიმპიადო ობიექტების ასაშენებლად 845 მილიონი დოლარია საჭირო, მთლიანად შეჯიბრების ბიუჯეტი კი 874 მილიონი დოლარი იქნება.

## მოკლედ

### ვერნერ ჰერცოგი ნესის ეძებს

უცნაურ და საშიშ არსებებთან ურთიერთობა ვერნერ ჰერცოგს არ ესწავლება. "ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგში" ავად იხუმრეს, სხვა თუ არაფერი, ამ რეჟისორის ყველაზე ცნობილ ფილმებში მთავარ როლებს ექსცენტრიული კლაუს კინსკი ასრულებდაო. ამჯერად ლოს ანჯელესში მცხოვრები ჰერცოგი ლოხ ნესის ურჩხულით დაინტერესდა.

ფილმის სიუჟეტს საფუძვლად უდევს ყველა ცნობილი ლეგენდა, რომელიც "პრეისტორიული ხანის" მოჩვენებაზე გვიამბობს. ფილმში რეჟისორი შეეცდება ახსნას, თუ რატომ გახდა ეს ისტორია მთელ მსოფლიოში ესოდენ პოპულარული. ჰერცოგი ჩაიწერს ადგილობრივი მოსახლეობის ნაამბობს, და დამოუკიდებლადაც ეცდება ნესის კვალს მიაგნოს. ის ტბის ფსკერზეც აპირებს ძიების ჩატარებას.

ფილმის სცენარი ეკუთვნის ზაკ პენს, რომელსაც კარგად იცნობთ ფილმით X-Men 2. "როდესაც ვერნერ ჰერცოგმა ეს იდეა მომაწოდა, სიხარულით ცას ვეწიე, მე ვერნერის ნამდვილი ფანატი ვარ, თანაც თემაც ისეთი საინტერესოა, მოვიხიბლე – ურჩხული, რომელიც ტბაში ბინადრობს," – იგონებს ზაკ პენი.

Variety-ს ცნობით, ივლისის ბოლოს ჰერცოგი და მისი გადამღები ჯგუფი ტბაში მცხოვრები ლეგენდარული ნესის საძებნელად გაემართებიან. ფილმის სახელწოდება "ლოხ ნესის გამოცანა" (The Enigma of Loch Ness) იქნება.

ამასობაში, როგორც ჩანს, თავად რეჟისორმაც ირწმუნა ნესის ლეგენდა და აღიარა კიდეც: "რა შესანიშნავი იქნებოდა, გადამღები ჯგუფი ურჩხულს რომ გადააწყდეს და ნესის ფილმში გადაღება რომ მოვახერხოთ! ამაზე უკეთესი რაღა უნდა ვინატრო," ამბობს ჰერცოგი.

### კანდიდატი - ბრემენი

წელს იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად გერმანიიდან ქალაქი ბრემენია წარდგენილი. ამის მიზეზი მისი ცენტრალური ბაზრობის მოედანსა და მის ირგვლივ განლაგებული შენობების განუმეორებელი არქიტექტურა გახლავთ. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლებია რატუშა და "ქვის როლანდი".

რატუშა, რომელიც 1229 წელს აღმართეს, 1405 წლის რეკონსტრუქციის შემდეგ ძალიან შეიცვალა. ის სახე, რომლითაც მან დღემდე მოაღწია, შენობისთვის 1595 წელს მიუცია ხუროთმოძღვარ ლიუდერ ფონ ბენთჰაიმს.

"როლანდი", აბჯარასხმული ჭაბუკის ქვის ქანდაკება, მოედანზე 1404 წელს დადგეს, მისი ხის წინამორბედი 1366 წელს დამწვარა. ქალაქის დამოუკიდებლობის გვიანი შუასაუკუნეების დროინდელი სიმბოლო, ბრემენის როლანდი, გერმანიაში ამ სახის ქანდაკებების ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია.

მიუხედავად ასეთი საგანძურისა, ბრემენის ბედი ჯერჯერობით უცნობია, რადგან იუნესკოს კომისიას 38 კანდიდატურა აქვს განსახილველი, 32 ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები.

### ჯორჯ ბუში და მისი მეუღლე სტრესისაგან შინაური ცხოველების საშუალებით იკურნებიან

აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და მისი მეუღლე ლორა, სტრესსა და დაძაბულობას, თავიანთ შინაურ ცხოველებთან თამაშით იხსნიან. "ჩვენთან სტრესის მოხსნის ყველაზე საყვარელი ტექნიკა, ჩვენს ცხოველებთან თამაშია: ძაღლებთან "ბარნითან" და "სპოტთან, ასევე კატა "ვილთან", რომელიც საზოგადოებაში იშვიათად ჩნდება", - ასე უპასუხა ერთერთ ინტერვიუში ლორა ბუშმა, როცა ჰკითხეს, თუ როგორ ახერხებს იგი საუკეთესო ფორმის შენარჩუნებას და განტვირთვას.

უახლოეს დღეებში ლორა ბუში მეუღლეს სიურპრიზს უმზადებს – ეს იქნება სადღესასწაულო საღამო, რომელიც ბუშის დაბადების დღესთან დაკავშირებით გაიმართება. საღამოზე დაპატიჟებულ სტუმრებს საშუალება ექნებათ, ვაშინგტონის თავზე სადღესასწაულო ფეიერვერკებს თეთრი სახლის აივნიდან ადევნონ თვალი. ჯორჯ ბუშს 57 წელი კვირას, 6 ივლისს შეუსრულდება. 4 ივლისს კი ამერიკის შეერთებულ შტატებში სახალხო დღესასწაულს – დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავენ.

# იური მეჩითოვის ჭრელი ხალათის ამბავი

## ფარაჯანოვის გამოფენა-მოგონება

ანა კორძაია-სამადაშვილი



იური მეჩითოვის ფოტო

ეს ხალათი მეჩითოვმა 20 წლის წინ შეიძინა.

1983 წლის აგვისტოში, შუა აზიაში მოგზაურობის დროს, სერგო ფარაჯანოვმა და იური მეჩითოვმა შესანიშნავ ბაზრობაზე ამოყვეს თავი, სადაც თანაბარი წარმატებით შეიძლებოდა გადამწვარი ნათურების და აქლემის შეძენა. სად იყო და სად არა, მათ ხალათების გამყიდველი მიუახლოვდათ და არაჩვეულებრივი, დაქარგული ხალათი შესთავაზა. მეჩითოვი მოიხიბლა და ფასი იკითხა - 150 მანეთი, იმ დროისთვის საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნება.

"იყიდე," შეუჩნდა ფარაჯანოვი, "იყიდე, მე ვივაჭრებ". კარგა ხნის ყაყანის შემდეგ ხალათი 90 მანეთად შეიძინეს.

ის დღე იყო და ის - ბრძოლით მოპოვებული ულამაზესი სამოსი კარადაში ეკიდა. ფარაჯანოვი მრავალგზის ეცადა მის "გამოსყიდვას", მაგრამ მეჩითოვი არ თმობდა, არც იცვამდა. და აი, ოცი წლის შემდეგ, მეგობრის ხსოვნისადმი მიძღვნილ ფოტოგამოფენაზე, ბატონი იური მეჩითოვი სწორედ ამ ხალათით გამოცხადდა. "ამ გამოფენაზე მთავარი სწორედ ეს ხალათია," მითხრა მან.

გოეთეს ინსტიტუტში გახსნილ ფოტოგამოფენას "ფარაჯანოვი – გამოფენა-მოგონება" თამამად შეიძლება იური მეჩითოვის შემოქმედების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში ვუწოდოთ. ექსპოზიცია ძალიან მდიდარია – ლეგენდად ქცეული შემოქმედის პორტრეტები ორ დარბაზშია გამოფენილი. მათი შესრულების ხარისხზე არაფერს მოგახსენებთ – ვფიქრობ, თავად ფოტოხელოვანის სახელი და მის პორტრეტებზე გამოსახული ადამიანის მიმართ დამოკიდებულება ამომწურავი დახასიათება გახლავთ.

ეს ორი ხელოვანი თორმეტი წლის განმავლობაში მეგობრობდა, შესაბამისად, იური მეჩითოვს სერგო ფარაჯანოვის პორტრეტები უხვად ჰქონდა გადაღებული. ერთი ისაა, რომ ნამუშევრების ნაწილის გამოფენა აქამდე, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო, ნეგატივებისა თუ სლაიდების დაზიანებისა თუ ცუდი ხარისხის გამო. ამჟამად, კომპიუტერული დამუშავების შემდეგ ისინი საუკეთესოდაა აღდგენილი, და ვინაიდან მთელი გამოფენა უკვე ელექტრონული ფორმატითაც არსებობს, უახლოეს მომავალში მისი ფოტოალბომის სახით ხილვის იმედიც შეიძლება გვქონდეს.

3 და 4 ივლისი გოეთეს ინსტიტუტმა სერგო ფარაჯანოვის ხსოვნას მიუძღვნა: ოთხშაბათს კინოს სახლში მისი "ლეგენდა სურამის ციხეზე" იყო ნაჩვენები, ხუთშაბათს კი, იური მეჩითოვის ფოტოგამოფენის გახსნის დღეს ინსტიტუტის შენობაში რონ ჰალოვეის ფილმი "ფარაჯანოვი" იყო ნაჩვენები.

გამოფენის გახსნას უამრავი ადამიანი დაესწრო. ბატონი იური და გარი კუნცევი შეკრებილებს, ალბათ, ძალიან საინტერესო ამბებს უყვებოდნენ, რადგან ისინი, ვისაც გაუმართლათ და წინა რიგებში აღმოჩნდნენ, გულდასმით ისმენდნენ და ბევრს იცინოდნენ. მე კი არ გამიმართლა, ვერ შევძვერი, და ამიტომ მათ გავერიე, ვინც გამოფენის დათვალიერების შემდეგ შუშაბანდში ჩამომდგარიყვნენ და "პირს ისველებდნენ" – ძალიან ცხელოდა.

ძალიან მისასალმებელი, მაგრამ უცნაური ამბავია – რატომ გადაწყვიტა გოეთეს ინსტიტუტმა სერგო ფარაჯანოვის მოგონება? მიზეზი ძალიან მარტივი და ადამიანური აღმოჩნდა: კულტურულ პროგრამათა კოორდინატორმა, ქალბატონმა ნათია მიქელაძემ მიამბო, რომ ინსტიტუტის დირექტორი, ილზე იოჰანა ჰაინლე, მისი შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელია. "ჩვენც გვიყვარს, მაგრამ ქალბატონ ჰაინლეს – განსაკუთრებით," თქვა ნათიამ. მოგეხსენებათ, ფარაჯანოვის ნიჭის თაყვანისმცემლები მომავალი წლის იანვარში შემოქმედის დაბადების 80 წელს აღნიშნავენ, მაგრამ ვინაიდან ქალბატონი ჰაინლე სულ მალე თბილისიდან გამგზავრებას აპირებს, მან სასწრაფოდ გადაწყვიტა ფარაჯანოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიების ჩატარება.

და ძალიან კარგი. იუბილეს კიდევ მოვესწრებით, ეს გამოფენა კი შესანიშნავი იყო. ბოლოს და ბოლოს, იანვარშიც გამართავენ, და, ალბათ, მაშინაც ამდენივე დამთვალიერებელი ეყოლება.

# რომელი საათია?..

თამარ სუხიშვილი



იური მეჩითოვის ფოტო

ხუთი წლის შემდეგ საქართველოში.

გუშინ შარდენის ქუჩაზე რომ ჩავიარე, პირველი ის მკითხეს, ნიკ ნოლთი თუ ნახეო, თურმე გუშინ საღამოს თბილისის ძველ უბნებში სეირნობდა. გული კი დამწყდა, რომ ავცდი. სულ რაღაც ხუთიოდე წუთით ადრე რომ მივსულიყავი "ბაიას გალერეაში", მეც, ისევე როგორც სხვა დამთვალიერებლებს, ალბათ, გზად შემომხვდებოდა.

ნიკ ნოლთი არა, მაგრამ ამასაობაში ერთი კარგი გამოფენა კი დავათვალიერე. გალერეა "არტ ორიენტმა", იგივე ბაიას გალერეამ ცნობილი მხატვრის - ლევან მეხუზლას ექსპოზიციას უმასპინძლა.

ლევან მეხუზლა უკვე ხუთი წელია პარიზში ცხოვრობს და ფრანგულ გალერეებთან თანამშრომლობს. მას ოცამდე პერსონალურ და არაერთ ჯგუფურ გამოფენაში აქვს მიღებული მონაწილეობა. პროფესიით არქიტექტორია. მხატვრობა, გრავიურა, სცენოგრაფია, ინტერიერის დიზაინი, ფილმისა და წიგნის მხატვრობა - აი, ის სფეროები, რომლებშიც ბატონი ლევანი მოღვაწეობს. "მის ნამუშევრებში იგრძნობა, რომ საქმე გვაქვს დიდ გემოვნებასთან. როგორიც უდახვეწილესია მისი ხელოვნება, ასეთივე უდახვეწილესი პიროვნებაა ლევან მეხუზლა," - ამბობს მწერალი ვახუშტი კოტეტიშვილი.

ამჯერად "არტ ორიენტში" ორი აკვარელი და საგნობრივი ხელოვნების, ანუ პოპ-არტის ნიმუშებია გამოფენილი. ეს არის საათებით, საათის მექანიზმებით, ძველი ფოტოებითა და მინიატურებით, გაზეთების ამონაჭრებით და კიდევ სხვა სპეციფიკური მასალით დამზადებული ობიექტები. ზოგიერთი ექსპონატი მოსამართია, მექანიკური, დაქოქავ და წიკწიკებს. ყველა ნამუშევარს ერთი თემა აერთიანებს: დრო, რომელიც, როგორც მხატვარი ამბობს, ცვალებადიცაა და უცვლელიც, ამ ნამუშევრების ხილვისას გვახსენდება წარსულიც და ვფიქრობთ მომავალზეც, რომლის პერსპექტივაც ერთ დროს ჩვენს ქვეყანას არ ჰქონდა. ლევან მეხუზლას ნამუშევრებში ძველ, თითქოს უკვე ფუნქციადაკარგულ საგნებს ახალი დატვირთვა აქვს მოძებნილი. და ამ საგანთა ერთობლიობაც - შინაარსიანი, გემოვნებიანი, დახვეწილი კომპოზიცია ახალ მნიშვნელობას იძენს. იქვე აუცილებლად აგეკვიატება გალაკტიონის სტრიქონები: "კივის სადგურიდან ზარი მეცამეტე, რომელი საათია..."

"ბატონი ლევანის ნამუშევრებში იგრძნობა არქიტექტორის ლაკონურობა, სივრცე, მკაფიოობა. ამ მხატვარს ახასიათებს გამორჩეული ესთეტიზმი, გამორჩეული ფანტაზია, კონცეფცია, არაჩვეულებრივი მხატვრული ალღო და ინტუიცია, რაც, გარკვეულწილად, მნახველის ფანტაზიის პროვოცირებას ახდენს. თითოეული ნამუშევარი პატარა მიკროსამყაროა, უამრავი დეტალის შემცველი. ეს ყველაფერი მნახველს საშუალებას აძლევს იაზროვნოს, მხატვრის ჩანაფიქრსაც ჩაწვდეს და, თავის მხრივ, ეს ჩანაფიქრი განავითაროს კიდეც, - ასე გვაცნობს გალერეის სტუმრის შემოქმედებას გალერეის მასპინძელი ბაია წიქორიძე.

ბაიას გალერეაში წარმოდგენილი ექსპონატები ძირითადად ბოლო შვიდი თვის ნამუშევარია. იანვარ-თებერვალში ეს ექსპოზიცია პარიზშიც გამოიფინა და რამდენიმე ექსპონატი გაიყიდა კიდეც.

დაბოლოს, როგორც ბატონმა ლევანმა გვითხრა, ინტერვიუები და, საერთოდ, საკუთარი შემოქმედების შესახებ საუბარი არ უყვარს, რადგან ხელოვნების დანიშნულება ის არის, რომ მნახველმა მხატვრის სათქმელი უთქმელად უნდა გაიგოს.

# Moscow Beat-ის მეორე ნაწილი „აჭარა მიუზიკ ჰოლში"

ვერა ნეფარიძე



დი-ჯეი მელორი.

"აჭარა მიუზიკ ჰოლი" აგრძელებს უცხოელი დი-ჯეების წარმოდგენას. 14 ივნისს კლუბში დაიწყო მოსკოველი დი-ჯეების ფესტივალი Moscow Beat. დღეიდან ამ ფესტივალის მეორე ნაწილი იწყება და ის იმითაა საინტერესო, რომ ამჯერად დი-ჯეის მიქშერთან გოგონებს წარმოგვიდგენს. დღეს "აჭარა მიუზიკ ჰოლის" სტუმარი მოსკოვის კლუბების - Республика BEEFEATER-ისა და Беллз-ის რეზიდენტი დი-ჯეი მელორი იქნება.

ისეთ ქალაქებში, სადაც საკლუბო მუსიკის მოყვარულებს ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივი დი-ჯეების რაოდენობა (ჩვენს შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ პროფესიონალური დონითაც), განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უცხოელი ოსტატების გაცნობას. ამიტომაც, თავიდანვე ენთუზიაზმით შევხვდი თბილისის მეგა-კლუბის, "აჭარა მიუზიკ ჰოლის" პრომოუტერთა პროექტს, რომელიც ზაფხულის განმავლობაში სხვადასხვა ქალაქებიდან კლუბში გამოცდილი დი-ჯეების მოწვევას გულისხმობს.

კლუბში საზაფხულო სეზონი რამდენიმე ხნის წინათ თელავივიდან მოწვეულმა დი-ჯეებმა: ავი ავიგდარმა და ნერიკმა გახსნეს. საღამო ძალიან წარმატებული გამოდგა და, ალბათ, ამიტომაც, ახლა ეს დი-ჯეები მეორე კლუბის, "16 რაუნდის" რეზიდენტებად დარჩებიან ზაფხულის ბოლომდე. თავად, "აჭარა მიუზიკ ჰოლი" კი აგრძელებს დი-ჯეების მოწვევას. აქ 14 ივნისს ფესტივალი Moscow Beat-ის ფარგლებში მოსკოველი დი-ჯეების წარდგენა დაიწყო. 12 ივლისამდე დაგეგმილია ექვსი დი-ჯეის მოწვევა რუსეთიდან. ამ ხნის განმავლობაში თბილისელი "კლუბერების" გასართობად შეარჩიეს: დი-ჯეი გრადი, დი-ჯეი ლისტი, დი-ჯეი რუდიკი, დი-ჯეი მელორი, დი-ჯეი ჯეფი და დი-ჯეი ასია. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ დღეს ფესტივალის ყველაზე საინტერესო ნაწილი იწყება. თუნდაც იმიტომ, რომ დი-ჯეის პულტთან თბილისში პირველად იხილავენ სუსტი სქესის წარმომადგენელს, ამ შემთხვევაში ეს იქნება დი-ჯეი მელორი.

"აჭარა მიუზიკ ჰოლში" დი-ჯეი გოგონების მოწვევა 9 მაისსაც იყო დაგეგმილი. კლუბის პრომოუტერებმა მაშინ არჩევანი გერმანელ დი-ჯეებზე შეაჩერეს. სამწუხაროდ, საკმაოდ საინტერესო პროექტის განხორციელება გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოხერხდა. ვიდრე ევროპელი ქალბატონები გვაჩვენებენ საკუთარ ხელოვნებას საკლუბო მოღვაწეობაში, ჯერ მოსკოველ დი-ჯეებთან შეხვედრა მოგვიწევს .

Moscow Beat-ში ორი გოგო მონაწილეობს: დი-ჯეი მელორი და დი-ჯეი ასია. ისინი მოსკოვში საკმაოდ ცნობილ კლუბებში მოღვაწეობენ. დი-ჯეი მელორმა კარიერა 1997 წელს დაიწყო, როდესაც შემთხვევით დი-ჯეების სკოლაში "სადგური 106.8 FM"-ზე (რადიოსადგური იყო ასეთი) მოხვდა. ამ ადამიანის ბიოგრაფიაში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ის მშვენივრად უთავსებდა ერთმანეთს ღამის კლუბებსა და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის პრესსამსახურში მუშაობას. იმის მიუხედავად, რომ დი-ჯეობა მისი ჰობი იყო, რამდენიმე წელიწადში ის მელორის ძირითად საქმიანობად იქცა. ხუთი წლის განმავლობაში დი-ჯეი მელორი მუშაობდა სხვადასხვა კლუბებში, დროგამოშვებით გამოდიოდა ბანკეტებსა და ქორწილებშიც. თუმცა, ეს იყო ადრე... ახლა იგი, ძირითადად, რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში დადის გასტროლებზე, ფესტივალებზე. დაიმსახურებს თუ არა დი-ჯეი მელორი ქართველი "კლუბერების" სიმპათიებს, ამას მხოლოდ ამაღამ შევიტყობთ. მორიგ ქალბატონთან შეხვედრა "აჭარა მიუზიკ ჰოლში" კი 12 ივლისს გველის. თუმცა, მაინც მგონია, რომ უფრო მნიშვნელოვანი იქნება კლუბში ბრიტანელი სტუმრების საღამო. ამ ღონისძიებით ბრიტანეთის საკონსულო საქართველოში ათწლიან მოღვაწეობას აღნიშნავს. დაწვრილებით ამ პროექტის შესახებ უახლოეს დღეებში მოგითხრობთ.

## კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმები ამერიკაში

| ფილმი/რეჟისორი | მსახიობები | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ | წინა კვირის პოზიცია |
|---|---|---|---|---|
| 1. Charlie's Angels: Full Throttle | [illegible] | 37,634,221 | 37,634,221 | ახალი |
| 2. The Hulk | [illegible] | 18,847,620 | 100,593,300 | 1 |
| 3. Findin Nemo | [illegible] | 13,968,116 | 253,991,677 | 2 |
| 4. 28 Days Later | [illegible] | 10,061,858 | 10,061,858 | ახალი |
| 5. 2 Fast 2 Furious | [illegible] | 6,225,570 | 113,996,055 | 3 |
| 6. Bruce Almighty | [illegible] | 6,190,085 | 221,329,796 | 4 |
| 7. The Italian Job | [illegible] | 5,462,902 | 76,758,011 | 5 |
| 8. Rugrats Go Wild | [illegible] | 3,639,293 | 30,979,792 | 6 |
| 9. Hollywood Homicide | [illegible] | 3,061,550 | 27,315,347 | 8 |
| 10. Alex&Emma | [illegible] | 2,622,483 | 11,339,947 | 7 |
| 11. Matrix Reloaded | [illegible] | 2,575,427 | 268,979,763 | 10 |
| 12. Daddy Day Care | [illegible] | 2,302,668 | 97,823,238 | 13 |
| 13. Dumb and Dumberer 14. When Harry Met Loyd | [illegible] | 1,668,283 | 24,158,991 | 9 |
| 15. Whale Rider | [illegible] | 977,791 | 3,303,643 | 15 |
| 16. X2: X-Men United | [illegible] | 932,196 | 211,317,905 | 12 |
| 16. Main Prem Ki Diwani Hoon | - | 672,891 | 672,891 | ახალი |
| 17. From Justin to Kelly | [illegible] | 625,469 | 4,584,577 | 11 |
| 18. Bend it Like Beckham | [illegible] | 566,929 | 23,878,264 | 14 |
| 19. Holes | [illegible] | 419,413 | 64,886,550 | 20 |
| 20. Winged Migration | [illegible] | 348,597 | 4,074,492 | 17 |



## Billboard ჟურნალ "ბილბორდის" რეპ-ათეული

| შემსრულებელი | სიმღერა | გასული კვირის მაჩვენებელი | რეიტინგის პიკის მაჩვენებელი |
|---|---|---|---|
| 1. ლილ კიმ და 50 ცენტი | Magic Stick | 1 | 1 |
| 2. 50 ცენტი და ნეიტ დოგი | 21 Questions | 2 | 1 |
| 3. Fabolous მაიკ შორისთან და ლილ მოსთან ერთად | Can't Let You Go | 3 | 2 |
| 4. შონ პოლი | Get Busy | 4 | 2 |
| 5. ჩინგი | Right Thurr | 7 | 5 |
| 6. ბასტა რაიმსი, მერაია ქერი და The Flipmode Squad | I Know What You Want | 5 | 3 |
| 7. 50 ცენტი | P.I.M.P. | 9 | 7 |
| 8. ბოუნნ ქრაშერი, კილერ მაიკი და T.I. | Never Scared | 6 | 6 |
| 9. ლილ ჯონი, The East Side Boyz და Ying Yang Twins | Get Low | 10 | 9 |
| 10. Fabolous და ტამია/აშანთი | Into You | 8 | 8 |





## Billboard ჟურნალ "ბილბორდის" ათეული მოზრდილებისათვის

| შემსრულებელი | სიმღერა | გასული კვირის მაჩვენებელი | რეიტინგის პიკის მაჩვენებელი |
|---|---|---|---|
| 1. ანქლ კრეკერი და დობი გრეი | Drift away | 1 | 1 |
| 2. სელინ დიონი | Have You Ever Been In Love | 2 | 2 |
| 3. დენიელ ბედინგფილდი | If You're Not The One | 4 | 3 |
| 4. სანტანა და მიშელ ბრენჩი | The Game Of Love | 3 | 1 |
| 5. კრისტინა აგილერა | Beautiful | 5 | 1 |
| 6. ფილ კოლინზი | Can't Stop Loving You | 6 | 1 |
| 7. ფეით ჰილი | One | 8 | 7 |
| 8. ნორა ჯონსი | Don't Know Why | 7 | 4 |
| 9. ვანესა კარლტონი | A Thousand Miles | 10 | 1 |
| 10. შანია ტვეინი | Forever And For Always | 11 | 10 |

## TV პროგრამა
5 ივლისი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** ფიფქია **09.50** ჯადოქარი **10.15** საბ.ფილმი „ნაითმენი“ **11.00** უიმბლდონის ყოველდღიური მიმოხილვა **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.10** დოკ. სერიალი „ველური სამყაროს ამბები“ **18.00, 03.00** კურიერი **18.20** უიმბლდონის ჩემპიონატი. ფინალი ქალთა შორის და წყვილ მამაკაცებში. **21.00** კურიერი **PS 22.00** საოჯახო ტოტო **23.00** ფსიქო. მხ.ფ. „ქალები პოსტსაბჭოურ სივრცეში“ **02.00** უიმბლდონის ყოველდღიური მიმოხილვა **03.15** ღამის ჯაზი

### პირველი არხი

**08.00, 15.00** მოამბე **08.15** მხ. ფილმი „შემოდგომა ნიუ-იორკში“ **10.00** გლობუსი **10.30** მეტრო **11.05** კვალი **11.35** „საქართველო, დრო, მოვლენები“ **12.10** ჩოგბურთელ ვაჟთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი „ბორჯომის თასი“. შესვენებისას **15.00** „მოამბე“ **16.30** დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები“ **16.55** საწინდარი **17.30** მულტსერიალი „ჯაშუშები“ **18.00** „ვესტნიკი“ **18.45** „თბილისის დროით“ **19.05** ენერგია **19.35** ჰოლივუდის ვარსკვლავები **20.00** ციტნოტი **21.20** კონცერტი - ლ. შენგელია **22.25** „ტალანტები და თაყვანისმცემლები“ თ. სუხიშვილი **23.20** პროფათეული **00.00** მოამბე **00.15** მხ. ფილმი „ფრენის სისწრაფე“ **01.45** ღამის ჯაზი.

### პირველი სტერეო

**09.00** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ფილმი **15.00** მუსიკა **16.00** ფილმი „ქეითი და ლეო“ მთ. რ-ში მეგ რაიანი, ჰიუ ჯეკმანი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **19.50, 20.15** სველი ხაზი **21.15** ქართული მუსათეული **22.35** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** „ბრავო“ „ნიუ-იორკის ბანდები“ მთ. რ-ში ლეონარდო დი კაპრიო, კამერონ დიასი. **01.50** „ღამურა“ „შოპინგი“. მთ. რ-ში ჯუდ ლოუ, სედი ფროსტი. **03.45** პაუზის გარეშე

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი **19.30** ორატორი **19.40** სერიალი „ქალბატონები ზღვისპირეთიდან“ **20.30** „ახლო ხედი“ **21.00** ბუდარია **21.30** წარსულის ტერიტორია **22.00** მხ. ფილმი „ვერცხლისფერი ულაყი“

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი „დამოუკიდებლობის დღე“ **15.00** მხ. ფილმი „გასეირნება ამერიკაში“ **17.00** მხ.ფილმი „მის კონგენიალობა“ **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **19.15** მულტფილმი „იმპერატორის მოგზაურობა“ **21.00** მხ. ფილმი „პერლ ჰარბორი“ **00.30** მხ. ფილმი „ბელა მაფია“

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **13.10** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი **17.30** მუსიკა **18.00, 19.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **20.30** ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **22.40** დოკ. ფილმი **23.30** მუსიკალურ ტალღაზე **01.30** მხ.ფ. „გამქრალი სილამაზე“ **02.40** ღამის ფილმი

### მეცხრე არხი

**09.30** მულტფილმი „მხიარული მელოდიები“ **09.55, 15.15, 17.50, 18.50** მუსიკა **10.00** სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“ **10.25** მულტსერიალი „სიმბა მეფე ლომი“ **11.00** სერიალი „პოლიციელი ქალი“ **11.55** დოკ. ფილმი „მსოფლიო ფერწერის ისტორია“ **12.20** მხ. ფილმი „გი:ური სიყვარული“ **14.15** გადაცემა „პილოტი“ **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** „ყვითელი კვადრატი“ **15.15** „ერთი ნივთის ისტორია“ **15.30** სერიალი „სირინოზები“ **16.30** დოკ. ფილმი „საიდუმლო ომი“ **18.05** სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“ **18.25** მულტსერიალი „სიმბა მეფე ლომი“ **19.00** „საუბრები სტუდიაში“ **20.00** დოკ. სერიალი „ფაქტზე დაჭერა“ მე-6ს. **21.15** ფილმი-კონცერტი. **22.25** ტელემეტრი **22.30** გადაცემა „ოლიმპო“ **23.00** მოკლ.მხ.ფილმი „სამეფოთა გასაღები“ (აშშ) **23.20** „ცხელი ცხრიანი“ **00.20** მხ. ფილმი „დაუმთავრებელი წერილი“.

### იმედი

**09.00** ქრონიკა **09.05, 13.40, 23.30** იმედის მელოდიები **10.20** ანიმაციური სერიალი „მითიური მეომრები“მე-7 ს. **10.50** მხ. ფილმი „ჟანდარმი და ჟანდარმი ქალები“ **12.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 21.00, 22.00** ქრონიკა **13.15** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **13.50** თოქ-შოუ „არჩევანი თქვენ“ **15.10** რეტროსკოპი „ცისფერი ანგელოზი“ **17.15** დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის“ **18.00** ერთხელ ჰოლივუდში **18.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ **19.30** სერიალი „ნირო ვულფი“ **21.05** ქართ. სერიალი „მგლების ხორუმი“ მე-3 ს. **22.45** „საღამოს ღიმილი“ **23.00** „კლიპ-ლოტო“ **00.30** მხ. ფილმი „ესკორტი 3“.

### ევრიკა

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** სალონი **13.30** ექიმი გვირჩევს **14.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **15.00, 21.00** ვესტი **15.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟის გაგრძელება **16.00** ლაბირინთი **17.00** მუსიკალური პაუზა **17.30** თქვენი ადვოკატი **18.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **20.00** თინეიჯერი **21.30** „ზერკალო“ **22.00** „და ღმერთმა შექმნა ქალი“ **22.30** საოცარი პირამიდა **23.30** ტელესერიალი „ყავახანა“ **23.45** თეატრალური შეხვედრები **00.45** მხ. ფილმი

### VII არხი

**18.10** მობილურები **19.00** „აჩიკუდა **19.20** „ბედნიერი ერი“ ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით **19.25** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **19.50** ღამის კაპრიზი **20.50** აუდიო - ვიდეო - ტელე **21.25** „კინოკლუბი „ - „ჯადოსნური ტბა“. ფანტასტიკა. რეჟ- ტომას ბერსტინი . როლებში: მარკ ჰარმონი, ჯეინ კოზაკი **22.55** კომპიუტერული ტექნიკა **23.35** მელოდია **00.05** კომპიუტერული თამაშები

### OPT

**07.00** Новости **07.10 Сериал „Китайский связной“ 08.00, 11.00, 15.00, 19.00** Новости **08.10** Сериал „Приключения Геркулеса“ **09.00** Сериал „Твинисы“ **09.20** „Играй, гармонь любимая!“ **10.00** „Слово пастыря“ **10.15** „Здоровье“ **11.10** „Смак“ **11.25** „Ударная сила“. „Черный призрак“ **11.55** „Сканер“ **12.25** „Смехопанорама“ **13.05** „Путешествия натуралиста“ **13.35** „Тайны века“. „Дети Кремля“ **14.20** „Серебряный шар“. „Лица XX века“ **15.15** Дисней-клуб: „Геркулес“ **15.40** „Ералаш“ **15.55 Боевик „Темный ангел“ 17.35 Комедия „Неисправимый лгун“ 19.10** „КВН-2003“. Премьер-лига **20.55** „Кто хочет стать миллионером?“ **22.00** Время **22.30** „Кривое зеркало“. „Евгений Петросян представляет...“ **00.20 Триллер „Зона турбулентности“ 02.00 Мелодрама „Пианино“**

### PTP

**07.00 Муз. фильм „Песни моря“ 08.25 Худ.фильм „Оперблок“ 09.05** „Студия „Здоровье“ **09.40** „Золотой ключ“ **10.00** „Сборная России“ **10.25** „Военная программа“ **10.45** „Утренняя почта“ **11.20** „Сто к одному“ **12.15** „Сам себе режиссер“ **13.15** „В поисках приключений“ **14.10** „Клуб сенаторов“ **15.00, 21.00** Вести **15.20 Комедия „Она Вас любит“ 17.00 Худ.фильм „Дикарка“ 19.00** „Моя семья“ **20.00** „Аншлаг“ **21.20 Худ.фильм „Поле боя“ 23.45 Боевик „Вампир в Бруклине“ 01.50 Комедия „Лицо французской национальности“ 03.25** Чемпионат мира „Формула-1“. Гран-При Франции. Квалификация **04.40 Сериал „Клоун“**

### НТВ

**07.35 Вестерн „Северная звезда“ 09.00** „Сегодня“ **09.20 Сериал „Голубое дерево“ 09.55** „Без рецепта“. Доктор Бранд **10.30** „Весь Жванецкий“. „Попросим начальника транспортного цеха...“ **11.05** „Кулинарный поединок. Завтрак для смелых“ **12.00** „Квартирный вопрос. Гостиная для Т.Самойловой“ **12.50** Спорт „Лотто 6 из 49“ **13.00, 17.00** „Сегодня“ **13.15** „Профессия-репортер“. „Остров счастья“ **13.45** „Служба спасения“. **14.15 Комедия „Когда опаздывают в ЗАГС...“ 16.05** „Своя игра“ **17.20** „Женский взгляд“. А.Волочкова **18.05 Боевик „Монах“ 20.05** „Новейшая история. Заговор в манеже“ **20.50 Боевик „Агент национальной безопасности“. Наследник“ 22.00** „Личный вклад“ **23.00 Мелодрама „Досье „Пеликан“ 01.50** „Все сразу!“ **02.25 Худ.фильм „Свидание на одну ночь“**

# მეცენატის დიდება და დაცემა

მელორ სტურუა
ნიუ იორკი - საკ. კორ.


დომინგო გაბრაზებულია

ამ დღეებში "მეტროპოლიტენ ოპერას" გენერალური მენეჯერის – ჯოზეფ ვოლპის მიერ ჩატარებული პრესკონფერენციის შემდეგ, "მეტროპოლიტენის" რესტორან, "გრანდ მაიერში" შევიარე წასახემსებლად. წესისამებრი ოფიციანტმა მენიუ შემომთავაზა და მეც მის შესწავლას შევუდექი. მენიუ ისეთი გახლდათ, როგორც ჩვეულებრივ მენიუს შეეფერება, მაგრამ ვიგრძენი, რომ რაღაც მაინც აკლდა. საკმაო ტვინის ჭყლეტის შემდეგ, მივხვდი რაშიც იყო საქმე. მენიუს "მეტროპოლიტენის" ცნობილი მეცენატ-მილიარდერის – ალბერტო ვილარის სახელი აღარ ამშვენებდა.

ჩემს მაგიდასთან შეკვეთის მისაღებად ოფიციანტის ხელმეორედ მოახლოებისას, თავი ვეღარ შევიკავე და შევეკითხე:

- ვილარი რაღა იქნა?

ოფიციანტმა ორაზროვნად გაიღიმა და მიპასუხა:

- ამჟამად იგი დაცემული ანგელოსების სიაში ირიცხება, მისი სახელი "მეტროპოლიტენისთვის" ტაბუდ იქცა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ადმინისტრაციამ ოპერის მესამე სართულის კედელზე მიკრული ვილარის სახელობის მეტალის აბრაც ჩამოხსნა.

რათა მკითხველმა სრულად აღიქვას მომხდარის გრანდიოზულობა, ამ ამბავს ათ მცნებას შევადარებ, რომელთაგან მოსე წინასწარმეტყველი მოკვეთეს.

მეტალის ნახევარმეტრიანი სიდიდის წარწერის აბრა და მენიუ "მეტროპოლიტენში" 1998 წელს, ანუ მაშინ გაჩნდა, როდესაც ვილარი ოპერას 20 მილიონ დოლარს და კიდევ დამატებით ხუთ მილიონსაც შეჰპირდა, თუკი მის ფილანტროპულ ჟესტს სხვებიც აჰყვებოდნენ. უნდა ითქვას, რომ ვილარი ოპერაზე შერყეულია. ის სხვადასხვა საოპერო თეატრებს ასობით მილიონ დოლარს დაჰპირდა (მათ შორის პეტერბურგის მარიას თეატრსაც). აღსანიშნავია, რომ მას მსოფლიოს უმთავრეს საოპერო თეატრების პირველ რიგებში, "მეტროპოლიტენის" ჩათვლით, საკუთარი, სახელობითი ადგილი ჰქონდა.

მაგრამ გასულ წელს, მეცენატმა უეცრად გამოაცხადა, რომ უოლ სტრიტზე მისმა კომპანიამ Amerindo Investment Advisors-მა სერიოზული დანაკარგი განიცადა, ამგვარად, ისიც იძულებულია გადახედოს თავის დაპირებებს და მომავალი "გულუხვობაც" არჩევითობას დაუქვემდებაროს. "გადაგდებულებს" შორის "მეტროპოლიტენიც" აღმოჩნდა. დაპირებული 20 მილიონი დოლარიდან ოპერამ ერთი ცენტიც ვერ მიიღო. კედლიდან ვილარის აბრის ჩამოხსნა და მენიუდან მისი სახელის ამოღება ოპერის მხრიდან სასოწარკვეთილების და ამავე დროს, ვილარისადმი უნდობლობის გამომხატველი ჟესტი გახლდათ. ფილანტროპული სამყაროს რთულ ეპოქაში ამგვარი რამ საკმაოდ იშვიათად ხდება, "მეტროპოლიტენი" რისკზე წავიდა. ვილარის შეურაცხყოფით "მეტროპოლიტენმა" მეცენატის შემდგომი ძლევენისკენაც მოიჭრა გზა. არადა, ხომ შეიძლება უოლ სტრიტზე Amerindo-ს საქმეები უკეთესობისკენ წავიდეს.

"მეტროპოლიტენის" ვილარისადმი მირთმეული ლაწანი ისე გავარდა, როგორც თოფის გასროლის ხმა. "მეტროპოლიტენს" ცარიელზე დარჩენილმა სხვა ოპერებმაც მიბაძეს. მათ შორის ვაშინგტონის და ლოს ანჯელესის ოპერებიც აღმოჩნდნენ. ამ სახელწოდებების ფონზე მეცენატის დაცემა უფრო სასირცხვილო გამოჩნდა. მთელი ეს აბრაკადაბრა ორივე ოპერის გენერალური დირექტორის, უდიდესი ტენორის და დირიჟორის პლასიდო დომინგოს ვილარისადმი გაგზავნილ წერილს უკავშირდება. წერილი 2002 წლის 8 ოქტომბრით თარიღდება. სიმართლე რომ ითქვას, დომინგო დიდხანს ყოყმანობდა გაეხმაურებინა თუ არა წერილის შინაარსი, მაგრამ "მეტროპოლიტენის" დემარშმა და წერილის გარშემო ატეხილმა მითქმა-მოთქმამ მასმედიაშიც გაჟონა, ამგვარად ტენორის ყოყმანსაც ბოლო მოეღო. ბოლო წვეთად "მეტროპოლიტენის" დირექციის ოფიციალური განაცხადი იქცა: "ჩვენ ვადასტურებთ, რომ ალბერტო ვილარის სახელის აღმნიშვნელი აბრა "გრანდ მაიერიდან" ჩამოხსნილია. აბრა მხოლოდ იმ დაპირებული დოლარების საფასურად იყო მიკრული, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია".

ახლა კი დომინგოს მიერ ვილარისადმი გაგზავნილ წერილზე. როგორც ტენორის ნიუ იორკელმა წარმომადგენელმა და ამავე დროს ფირმა Vincent and Farrell Associates-ის შეფმა, ედგარ ვინსენტმა განაცხადა, დომინგოს სრულებითაც არ სურდა ვილარისთვის შეურაცხყოფის მიყენების საბაბი გამხდარიყო, მაგრამ როდესაც მის ყურამდე ვაშინგტონის და ლოს ანჯელესის ოპერების დირექტორთა საბჭოს შემადგენლობის მითქმა-მოთქმამ მიაღწია წერილის შინაარსის შესახებ, მისი გამოქვეყნების გარდა სხვა გზა აღარ რჩებოდა.

წერილი "ძვირფასი ალბერტოსადმი" მიმართვით იწყება. დომინგო "ძვირფას ალბერტოს" ახსენებს, რომ მან "ლოს ანჯელეს ოპერას" 10 მილიონი დოლარი დაპირდა. ამას გარდა, "ძვირფასმა" "ვაშინგტონის ოპერისთვისაც" 5 წლის მანძილზე 1 მილიონი დოლარის დაპირება მოახერხა ყოველწლიურად. როდესაც დაპირებული თანხები ცარიელი სიტყვები აღმოჩნდა, წერას აგრძელებს დომინგო, ორივე ზემოთხსენებულ ოპერაში ფორიაქის ატმოსფერომ დაისადგურა და სიტუაცია დასში აუტანელი გახდა. 2001 წლის დასაწყისში, ვილარს ორივე ოპერის 2 მილიონ 50 ათასი დოლარის ოდენობის "სპეციფიკური ვალდებულებების" ვალი დაედო. ამასთან დაკავშირებით, წერს დომინგო, "მე შემოგთავაზეთ, თქვენი დაპირების შესაბამისად ჩემი ჯიბიდან გადაგეხადათ, მაგრამ თქვენი სახელით, რათა საკადრისი მოგზღებოდათ. მაგრამ აი, აგრძელებს დომინგო, რამდენიმე თვეც გავიდა და თქვენგან არც ფული და არც რაიმე ცნობა არ მოგვსვლია. თუმცა, ვაშინგტონში ყოფნისას თქვენ განაცხადეთ, რომ "ძალიან ამაყობთ ვილარ-დომინგოს პროგრამით, რომელსაც დიდი პაბლისიტი ჰქონდა ტელევიზიით და დიდება (ამჯერად დაუმსახურებელი) მოუტანა ალბეტრო ვილარს. ამის შემდეგ დომინგო უკვე იმის შესახებ წერდა, რომ ორივე ოპერის დირექტორთა საბჭომ არარსებული თანხის გამო განგაში ატეხა. "ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად, ტელეფონითაც კი ვერ დაგიჭირეთ. ისიც კი გამიკვირდა, თქვენ თვითონ რატომ არ დამირეკეთ". ვილარის მიერ თანხის გადახდისგან თავის დაძვრენის გამო, "ლოს ანჯელეს" ოპერა იძულებული გახლდათ მაშინათვე შეეწყვიტა სერგეი პროკოფიევის ოპერის "ომი და მშვიდობის" დადგმისთვის მზადება, ოპერამ "ლედი მაკბეტიც" მოხსნა რეპერტუარიდან. წერილის ბოლოს საუბარი შემდეგ თემებს შეეხო: "იმ მეგობრობის ნიშნით, რომელმაც თქვენ მაგივრად ორივე ოპერისთვის თანხის გადახდა მაიძულა, თქვენთვის მინდოდა მეკითხა, მაინც როგორი განრიგი დააწესეთ 2. 050. 000 დოლარის გადასახდელად?".

საკუთარ წერილზე პასუხი პლასიდო დომინგოს დღემდე არ მიუღია, ფული მით უმეტეს. ვილარის წარმომადგენელი ქალბატონი პენ სნუკი ტენორს დაპირდა, რომ მეცენატს დაუკავშირდებოდა, მაგრამ მანაც ვერ შეძლო მოუხელთებელი ვილარის დაჭერა.

ბატონო ოლიგარქებო, რათა მეცენატის გულუხვ ხელს სიძუნწე არ შეეპაროს, ფულის კეთებაში წარმატებებს გისურვებთ! მაშინ ძლევენის მომტანი დანაელების, მუზებსაც აღარ შეეშინდებათ...


"მეტროპოლიტენს" სპონსორმა უღალატა




თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24




# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდსასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.







